

საზოგადოებრივი კოლეჯი  
„კავკასიონი“

სტუდენტთა მეორე  
სამეცნიერო-პრაქტიკული



კონფერენცია

ქუთაისი 2015

საზოგადოებრივი კოლეჯი  
„კავკასიონი“

სტუდენტთა მეორე  
სამეცნიერო - პრაქტიკული  
კონფერენცია

ქუთაისი 2015

საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ დაარსდა 2012 წელს ბატონ რაინდი ლომაიას თაოსნობით და ხელმძღვანელობით და იმავე წელს გაიარა ავტორიზაცია.

კოლეჯი „კავკასიონი“ განთავსებულია ქალაქ ქუთაისში, ოცხელის ქ. №2-ში მაღლივი კორპუსის V-VI-VII სართულებზე, სადაც ყველა პირობაა შექმნილი მაღალი დონის სწავლებისათვის. კოლეჯის კაბინეტები, აუდიტორიები, ლაბორატორიები, კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა და სხვა, მოწყობილია და აღჭურვილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

კოლეჯში ამჟამად 10 პროფესიულ პროგრამას ეუფლება 270 სტუდენტი, რომელთა კვალიფიკაციაზე ზრუნავს 40 პედაგოგი, მათ შორის 22 დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონეა.

კოლეჯში პედაგოგების მიერ რეგულარულად ტარდება საჩვენებელი ლექციები, მეცადინეობები მიმდინარეობს საპრეზენტაციო ფორმატში, რომლებშიც ჩართულნი არიან სტუდენტებიც. კოლეჯში სწავლის პარალელურად სტუდენტური კავშირის ხელმძღვანელობით ტარდება სხვადასხვა თვითშემოქმედებითი ღონისძიებები, რომელიც მათ ეხმარებათ თავიანთი უნარების გამოვლინებაში და უფრო საინტერესოს ხდის მათ ურთიერთობას. შესაბამისად, ყოველივე ეს ხელს უწყობს მათ დამკვიდრებას საზოგადოებაში და უადვილებთ საკუთარი ადგილის პოვნას.

კოლეჯი მზადაა მომავალშიც ყველაფერი გააკეთოს, რომ თავის წვლილი შეიტანოს, როგორც რეგიონის, ასევე საქართველოს მასშტაბით კვალიფიციური პროფესიული კადრების აღზრდა- ჩამოყალიბების საკითხში.



### სტუდენტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეებს

მოგესალმებით, კონფერენციის მონაწილეებს.

საქართველოს წარმატებული მომავალი შეუძლებელია თანამედროვე, განვითარებული ტექნოლოგიური სისტემების დანერგვის და მათი სწორი ადმინისტრირების გარეშე, რაც დამოკიდებულია - კვალიფიციური კადრების აღზრდაზე. სწორედ ამას ემსახურება კოლეჯი „კავკასიონი“, რომელიც ცდილობს თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს საქართველოს აღმშენებლობის საქმეში და სტუდენტებს შეუქმნა სწავლების და პროფესიული უნარ-ჩვევების მიღება/ჩამოყალიბების მაქსიმალურად კარგი პირობები, რაც აისახება თანამედროვე პროფესიულ პროგრამებში, განახლებულ მატერიალურ ტექნიკურ ბაზაში, კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალის მოწვევაში.

მეორე სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ეს გამოწვევაა, როგორც სტუდენტებისათვის, ასევე პედაგოგებისათვის, რომლებმაც უნდა შეაჯამონ მთელი წლის განმავლობაში მიღებული/გაცემული ცოდნა და დაგეგმონ მომავალი განვითარების პერსპექტივები.

კოლეჯის დირექტორი, პროფესორი  
რაინდი ლომია



## კონფერენციის ჟიური

### მიმართულება – ბიზნესის ადმინისტრირება

ემზარ ჯულაყიძე-პროფესორი-თავმჯდომარე  
გიორგი ფოფხაძე -პროფესორი  
თენგიზ კუპრაშვილი-პროფესორი  
მეგი გორგასლიძე- პროფესორი  
ხათუნა თოდუა- პროფესორი  
ბანძელაძე მანანა - პროფესორი  
მელანო კარანაძე - პედაგოგი  
ციბაძე ვაჟა- პედაგოგი  
ტალიკაძე თეონა- პედაგოგი

### მიმართულება – ჯანდაცვა

ნინო აბულაძე - პროფესორი - თავმჯდომარე  
ლელა ნიკოლეიშვილი -პროფესორი  
ცუცა სულაკაძე-პროფესორი  
ქეთევან გაბუნია-პროფესორი  
დალი ქობულაძე - პედაგოგი  
ეკატერინე ჯავახია- პედაგოგი  
ნია მოსეშვილი- პედაგოგი  
თეა სიმსივე - პედაგოგი  
მაის სულაბერიძე - პედაგოგი  
ხათუნა სირაძე - პედაგოგი  
რუსუდან ხაჭაპურიძე - პედაგოგი



### კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

რაინდი ლომაია - პროფესორი, კოლეჯის დირექტორი  
ნუნუ გეგუჩაძე - სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურ-  
რი  
ვატი ბაბუნაშვილი-სასწავლო ნაწილი  
ლელა ბოკუჩავა - ადამიანური რესურსების მართვის სამსახური  
თენგიზ კუპრაშვილი-პროფესორი-ბიზნესის ადმინისტრირების  
სექციის ხელმძღვანელი  
ნინო აბულაძე - ჯანდაცის სექციის ხელმძღვანელი  
რამაზი მათაშვილი - პედაგოგი.  
დავით კუპრეიშვილი - პედაგოგი.

### კონფერენციის პროგრამა

კონფერენცია ჩატარდება 2015წლის 12 ივნისს.  
მიმართულება - ბიზნესის ადმინისტრირება აუდიტორია №5  
მიმართულება -ჯანდაცვა აუდიტორია №10  
10<sup>00</sup>-10<sup>30</sup> სთ რეგისტრაცია  
10<sup>30</sup>სთ კონფერენციის გახსნა



მიმართულება - ბიზნესის ადმინისტრირება

№	საათი	სტუდენტის გვარი, სახელი	პედაგოგის გვარი, სახელი	თემის დასახელება
1.	11 <sup>00</sup>	კვარაცხელია ირმა	ჯულაყიძე ემზარი	გლობალური კონკურენცია და ადამიანის ფაქტორის განსაკუთრებული მნიშვნელობა
2.	11 <sup>15</sup>	კირცხალია თამარი	ჯულაყიძე ემზარი	ადამიანური რესურსების ადგილი და როლი ეკონომიურ სისტემაში
3.	11 <sup>30</sup>	მიშველიძე მხევიანარი	ჯულაყიძე ემზარი	პერსონალის მოტივაცია - წარმატების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი
4.	11 <sup>45</sup>	პირტახია მარიანა	ჯულაყიძე ემზარი	პროექტის ძირითადი მდგენელები - მიზანი, დრო და ბიუჯეტი
5.	12 <sup>00</sup>	ჩაკვეტაძე ლია	ჯულაყიძე ემზარი	მცირე ბიზნესის სოციალურ-ეკონომიური პრობლემები საქართველოში
6.	12 <sup>15</sup>	ჩაქარეიშვილი გურანდა, აბაკელია თამარი	ციცხაძე ვაჟა	ილია ჭავჭავაძე და ბანკი
7.	12 <sup>30</sup>	კუტივაძე ნინო	ფოფხაძე გიორგი	ინფლაციის გამომწვევი მიზეზები და მისი აღმოფხვრის გზები
8.	12 <sup>45</sup>	ზოგვერაძე მარიამი	ფოფხაძე გიორგი	სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება და მისი მნიშვნელობა
9.	13 <sup>00</sup>	მეფარიშვილი ანასტასია	ტალიკაძე თეონა	მოტივაცია და მისი გზები
10.	13 <sup>15</sup>	მემანიშვილი თამარი	კუპრაშვილი თენგიზი	ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა
11.	13 <sup>30</sup>	ზაჩილავა ხატია	კუპრაშვილი თენგიზი	რეკლამის განვითარების ისტორია საქართველოში
12.	13 <sup>45</sup>	მაჭარაძე იზოლდა	კარანაძე მელანო	ავტორთა კოლექტიურ საფუძველზე მმართვე



## საზოგადოებრივი პოლემიკი “კავკასიონი”

				ლი ორგანიზაცია
13.	14 <sup>00</sup>	ქეთევან კიზირია	თოდუა ხათუნა	ინფლაცია საქართველოში
14.	14 <sup>15</sup>	მიძიგური ნინო	გორგასლიძე მეგი	საგადასახადო სისტემის სრულყოფის აქტუალუ- რი საკითხები.
15.	14 <sup>30</sup>	მანჯგალაძე ლეილა	გორგასლიძე მეგი	საგადასახადო ტვირთის განაწილების ოპტიმიზა- ციის აუცილებლობა სა- ბაზრო ეკონომიკის პი- რობებში.
16.	14 <sup>45</sup>	კალანდაძე ქეთევან	ბანძელაძე მანანა	ბიზნესი, საქმიანი ურ- თიერთობების სწორად წარმართვა და ეთიკა
17.	15 <sup>00</sup>	ფარცვანია სოფიო	ბანძელაძე მანანა	ორგანიზაციული კულ- ტურა და მისი ეთიკური მხარეები





მიმართულება -ჯანდაცვა

№	საათი	სტუდენტის გვარი, სახელი	პედაგოგის გვარი, სახელი	თემის დასახელება
1.	11 <sup>00</sup>	ჯამბურაძე თინათინა	აბულაძე ნინო	ქუთაისის პირველი აფთიაქები
2.	11 <sup>15</sup>	უგრეხელიძე თამარი	აბულაძე ნინო	ფარმაცევტის ემოციური კომპენტეცია
3.	11 <sup>30</sup>	სვანიძე ლია	მოსეშვილი ნია	ნამდვილი და არაზღაპრული „უკდავების წყაროები“ წყალტუბოში
4.	11 <sup>45</sup>	უგულავა ჟანა	მოსეშვილი ნია	მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან (დაუნის სინდრომი)
5.	12 <sup>00</sup>	ლიპარტელიანი ლიკა	ნიკოლეიშვილი ლელა	გენომოდიფიცირებული პროდუქტები
6.	12 <sup>15</sup>	ჩუბინიძე სოფიო	ნიკოლეიშვილი ლელა	გერონტოლოგია
7.	12 <sup>30</sup>	ჩუბინიძე ცისმარი	ქობულაძე დალი	C ჰეპატიტის ეპიდემიოლოგია
8.	12 <sup>45</sup>	ჭიჭინაძე ირინე	სიმსივე თეა	ჯანსაღი ცხოვრების წესი
9.	12 <sup>00</sup>	ტაბიძე მარიანა	სულაბერიძე მაია	კანცეროგენული სამკურნალო მცენარეები
10.	12 <sup>15</sup>	გიგატაძე ანა	სულაკაძე ცუცა	კალციუმი და მისი როლი ორგანიზმში
11.	12 <sup>30</sup>	ჯოხიძე თამარი	ჯავახია ეკატერინე	ოსტეოპოროზი
12.	12 <sup>45</sup>	გოგოლაშვილი მარიამი	სირაძე ხათუნა	ტუბერკულოზი
13.	13 <sup>00</sup>	მამარდაშვილი მარიეტა	ხაჭაპურიძე რუსუდან	მოსახლეობის ცხოვრების წესი და მისი როლი ჯანმრთელობის შენარჩუნებაში
14.	13 <sup>15</sup>	შანიძე სალომე	ხაჭაპურიძე რუსუდან	სხვადასხვა დაავადებები გერიატრიაში მისი თავისებურებები ხანდაზმულთა ასაკში



## მიმართულება - ბიზნესის ადმინისტრირება

**თემა: გლობალური კონკურენცია და ადამიანური ფაქტორის  
განსაკუთრებული მნიშვნელობა**

**სპეციალობა: მცირე ბიზნესის მწარმოებელი V საფეხური.**

**სტუდენტი: ირმა კვარაცხელია**

**ხელმძღვანელი: პროფესორი ემზარ ჯულაყიძე**

ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების საფუძველი არის კონკურენცია. თუმცა, დღეს არსებულ აგრესიულ ბიზნესს გარემოში, როდესაც ტექნოლოგიების განვითარების დონე კომპანიებს აძლევს იმის საშუალებას, რომ მოკლე ვადებში გაიმეორონ „გუშინდელი“ ინოვაცია, საიმედო კონკურენტული უპირატესობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანური ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე. ფაქტიურად, მის წარმატებულ მართვაზე დამოკიდებული ნებისმიერი ორგანიზაციის კონკურენტული უპირატესობის მიღწევა და განვითარება.

ადამიანური რესურსის გამოყენებაზე აქცენტის გადატანას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ როგორც ცნობილია, ეკონომიკური სისტემის ყველა რესურსის საერთო თავისებურებებთან (შეზღუდული რაოდენობით არსებობა, ცვეთა და განახლების აუცილებლობა) ერთად, ადამიანური რესურსები გამოირჩევა მთელი რიგი მისთვის დამახასიათებელი სპეციფიური თავისებურებებით, რითაც ფაქტიურად გამოიხატება მისი განსაკუთრებული ადგილი და როლი ეკონომიკურ სისტემაში. მანქანებისა და ნედლეულისაგან განსხვავებით ადამიანი არის პიროვნება, რაც ყველაზე უმთავრესია, რომელსაც ინტელექტი და ემოცია ახასიათებს. ამ სახის რესურსის პროდუქტიულობას საზღვარი არ აქვს, ამიტომ სწორედ მასშია ყველაზე დიდი რეზერვი ორგანიზაციის ეფექტურობის ამაღლებისა და მისი კონკურენტუნარიანობის მიღწევისათვის. უფრო მეტიც, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სიახლეების დანერგვას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაქვს სასურველი შედეგი, თუ არსებული სიახლე ინტეგრირ-



რებული და კოორდინირებულია ადამიანურ ფაქტორთან. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ყოველი ორგანიზაციის მიერ თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში, ადამიანური რესურსების განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა ფაქტორებთან ერთად, გადამწყვეტ როლს ამ მიზნებისა და ამოცანების შემსრულებელი ადამიანების კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი, გამოცდილება და მოტივაცია თამაშობს.

**თემა: ადამიანური რესურსების ადგილი და როლი ეკონომიკურ სისტემაში**

**სპეციალობა: მცირე ბიზნესის მწარმოებელი V საფეხური.**

**სტუდენტი: თამარ კირცხალია**

**ხელმძღვანელი: პროფესორი ემზარ ჯულაყიძე**

ადამიანური რესურსი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსია, რომელიც ორგანიზაციის ეფექტურობას განაპირობებს. მის წარმატებულ მართვაზე დამოკიდებული ნებისმიერი ორგანიზაციის წინსვლა და განვითარება. ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სიახლეების დანერგვას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაქვს სასურველი შედეგი, თუ არსებული სიახლე ინტეგრირებული და კოორდინირებულია საკადრო პოლიტიკასთან. ეკონომიკური სისტემის ყველა რესურსს გააჩნია როგორც საერთო, ასევე სპეციფიური თავისებურებები. რესურსების საერთო თავისებურებებს შეიძლება მივაკუთნოთ ის, რომ ყველა რესურსი შეზღუდულია; ყველა რესურსი ორი კომპონენტის, სარგებლისა და ღირებულების შემცველია და რომ პრაქტიკულად ყველა რესურსს აქვს თავისი ცვეთა, ამიტომ საჭიროებენ სახსრებს მათი შეკეთებისა და განახლებისათვის.

ადამიანურ რესურსს, აღნიშნულ საერთო თავისებურებებთან ერთად, სხვა რესურსებისაგან განსხვავებული თავისებურებებიც გააჩნია, რაც გამოიხატება კიდევ მათი ადგილითა და როლით ეკონომიკურ სისტემაში. მათ შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- მანქანებისაგან განსხვავებით ადამიანებს ინტელექტი და ემოცია ახასიათებთ. ამ სახის რესურსის პროდუქტიულობას საზღვარი არა აქვს, ამიტომ სწორედ მასშია ყველაზე დიდი რეზერვი ორგანიზაციის ეფექტურობის ამაღლებისათვის;
- ადამიანები კი მათი პირადი მოტივაციიდან გამომდინარე მუდ-



მივი სრულყოფისა და განვითარების მიეზაში არიან. ისინი იძენენ ცოდნასა და გამოცდილებას. ამიტომ ეს რესურსი კი არ იცვითება, არამედ უფრო მდიდრდება;

- ადამიანში ცოდნა და კვალიფიკაცია არათანაბრადაა გადანაწილებული. მათ სხვადასხვა უნარები, შესაძლებლობები და მონაცემები გააჩნიათ, რაც კადრების შერჩევის საფუძველს წარმოადგენს.
- განსხვავებით სხვა რესურსებისაგან, ადამიანური რესურსების მოტივები განსხვავებულია, ამიტომ პერსონალის მოტივაციის მართვა მენეჯმენტის საკვანძო ამოცანაა.

**თემა: პერსონალის მოტივაცია - წარმატების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი**

**სპეციალობა: მცირე ბიზნესის მწარმოებელი V საფეხური.**

**სტუდენტი: მზექალა მიშველაძე**

**ხელმძღვანელი: პროფესორი ემზარ ჯულაყიძე**

კონკურენციაში წარმატების ინდიკატორი არის ორგანიზაციის ის კონკრეტული მაჩვენებელი, რომელიც მას მეტოქეებთან მიმართებაში პრივილეგიურებულ მდგომარეობას უქმნის ბაზარზე. ერთისთვის იგი პროდუქციის დაბალ ხარჯებზე ორიენტირებული წარმოებაა, მეორისათვის - ადგილმდებარება, მესამისათვის - საუკეთესო საწარმოო სიმძლავრეები, მეოთხისათვის - გამოცდილებაზე ორიენტაცია და ა. შ. შესაბამისად, მენეჯერთა მცდელობა დაფუძნებულია სწორედ ინდუსტრიაში წარმატების ინდიკატორის გამოცნობაზე, თუ რა მაჩვენებელი განაპირობებს ინდუსტრიაში წარმატების მოპოვებას და რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ წარმატების ინდიკატორის ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი გააჩნდეს ჩვენს ორგანიზაციას. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენტული უპირატესობის მიღწევის ყველა ფაქტორები აზრს კარგავს, თუ პერსონალი სათანადოდ არ არის მოტივირებული. სწორედ ამიტომ არის პერსონალის მოტივაცია - კონკურენციაში წარმატების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

დავსვათ კითხვა - მაინც რა განაპირობებს მოტივაციას პერსონალში? ჩვენი აზრით, ორგანიზაციაში პერსონალის მოტივაციას იწვევს შემდეგი ძირითადი ფაქტორები. ამასთან, არა თითოეული ცალ-ცალკე, არამედ ყველა ერთდროულად. ეს ფაქტორებია: ხელფა-



სი; სამუშაოთა სწორი განაწილება; კარიერული პერსპექტივა და პროფესიული განვითარება; ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრობა; მორალური წახალისება; გამჭირვალობა მართვაში; კარგი სამუშაო გარემო; მეგობრული ატმოსფერო კოლექტივში და თანამშრომელთა სოციალური უზრუნველყოფა.

პერსონალის მოტივაციის აღნიშნული ფაქტორების ერთობლივი მოქმედება ფაქტიურად ქმნის გუნდს, რომელთაც ერთმანეთთან გადაჯაჭვული საერთო მიზნები აკავშირებს.

**თემა: პროექტის ძირითადი მდგენელები - მიზანი, დრო და ბიუჯეტი**

**სპეციალობა: მცირე ბიზნესის მწარმოებელი V საფეხური.**

**სტუდენტი: მარიანა პირტახია**

**ხელმძღვანელი: პროფესორი ემზარ ჯულაყიძე**

მენეჯმენტი დღეს მუდმივად იცვლება. თანამედროვე, გლობალური კონკურენციის პირობებში, წარმატების მიღწევა ინოვაციის გარეშე შეუძლებელია. ყველა ინოვაცია პროექტი ხორციელდება. უნდა ითქვას, რომ ის მენეჯერები და შესაბამისად, მათ მიერ მართული ორგანიზაციები, რომლებიც წინსწრებით ნერგავენ ინოვაციებს, სათავეში უდგანან ცვლილებათა პროცესს მათ სამოქმედო ინდუსტრიაში და სამართლიანადაც ღებულობენ უფრო მეტ შემოსავლებს, ვიდრე ისინი, რომლებიც ერთმანეთს უწევენ კონკურენციას მხოლოდ წარმოების მასშტაბებით ან სამომხმარებლო ბაზრის კუთვნილ სეგმენტებში შეჭრით.

პროექტები ჩვენი ცხოვრების თანმდევია. ფაქტიურად, იგი ბიზნესის კეთების სტანდარტული გზა ხდება, რომლის ძირითად მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ცვლილებათა მზარდი ტემპები ჩვენს ცხოვრებაში. ცვლილებები ეხება ყველაფერს, რაც ჩვენს გარშემოა. ყოველდღიურად ბაზარი გვთავაზობს სულ უფრო ახალ პროდუქტსა და მომსახურებას, ხოლო უკვე არსებულს გაცილებით უფრო სწრაფად გაუდის ყავლი, ვიდრე ჩვენ ვასწრებთ მათი შესაძლებლობების სრულად გამოყენებას.

ყველა პროექტი ფასდება იმის მიხედვით თუ რისი მიღწევა მოხერხდა, რა ფასად და რამდენი დრო დასჭირდა ყოველივე ამას. ეს სამი ძირითადი მახასიათებელი (მიზანი, დრო და ბიუჯეტი) ხაზს



უსვამს პროექტის მართვის ფუნდამენტურ საკითხს, მოხდეს ამ სამი შეზღუდვის მუდმივი ბალანსირება და ამავე დროს მომხმარებლის დაკმაყოფილება. შესაბამისად, პროექტების მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა, მიღწეულ იქნას პროექტის მიზნები წარმოდგენილი შეზღუდვების პირობებში.

**თემა: მცირე ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში**

**სპეციალობა: მცირე ბიზნესის მწარმოებელი IV საფეხური.**

**სტუდენტი: ლია ჩაკვეტაძე**

**ხელმძღვანელი: პროფესორი ემზარ ჯულაყიძე**

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების პრობლემა ყველა ხელისუფალთა თავსატეხი გახდა. არადა ფაქტია, რომ მცირე - სექტორის განვითარება სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადასვლის უმოკლესი და ყველაზე ეფექტური გზაა, რადგან მხოლოდ მცირე ბიზნესს შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაში და სოციალური პრობლემების დაძლევაში.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლიდან უკვე მესამე ათწლეული მიმდინარეობს და ქვეყანა კრიზისიდან ვერა და ვერ გამოვიდა. მაშინ როდესაც, ჩვენს მდგომარეობასთან ახლო მდგომმა ქვეყნებმა (ტერიტორიის, მოსახლეობის რიცხოვნების, თუ რესურსების რაოდენობის მიხედვით), სულ რაღაც 5-6 წლის განმავლობაში დააღწიეს თავი ეკონომიკურ სიდუხჭირეს, ხოლო ზოგიერთი მათგანი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგებშიც კი ჩადგნენ. ამ ქვეყნების სამეურნეო პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე განისაზღვრება არა იმდენად ტერიტორიის მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობით, ან რესურსების მოცულობით, არამედ მათი გონივრული გამოყენებით. განსაკუთრებით ისეთ ფაქტორზე ორიენტაციით, როგორცაა – მეწარმეობის უნარი. ამიტომ, სახელმწიფო მუდმივად ხელს უნდა უწყობს მცირე ბიზნესს, როგორც სოციალ-ეკონომიკური სტაბილურობის ფაქტორს, რომელიც ყველაზე ნაკლებად განიცდის რყევებსა და საერთაშორისო ოლიგარქიის ზემოქმედებას.



საქმე იმაშია, რომ შეიძლება არ გვექონდეს ბუნებრივი რესურსების საკმარისი ბაზა, არც ფიზიკური კაპიტალის დიდი მოცულობა, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე მაინც გარანტირებული იქნება, თუკი გვექნება არსებული რესურსების სრული ამოქმედების მენეჯერული ცოდნის კაპიტალი.

**თემა: ილია ჭავჭავაძე და ბანკი საქართველოში**  
**სპეციალობა: მოლარე (ბანკის და ა.შ.) III საფეხური.**  
**სტუდენტი: გურანდა ზაქარეიშვილი და თამარ აბაკელია**  
**ხელმძღვანელი: ვაჟა ციხამე**

XIX საუკუნის დასაწყისში, 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა, ჯერ პავლე პირველმა, შემდეგ ალექსანდრე პირველმა ქართლ-კახეთის ტახტი გააუქმეს, თანდათანობით საქართველოს ყველა სამეფო-სამთავრომ დაკარგა დამოუკიდებლობა.

ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად, საქართველოსა და ქართველთა არსებობის საკითხიც დადგა. ასეთ მძიმე ვითარებაში ერისა და ქვეყნის მხსნელად „თერგდალეულთა“ საზოგადოება მოგვევლინა.

ილია თავის თანამებრძოლებთან ერთად ქართული მიწების უცხო ტომებისთვის გასხვისების შეჩერებას მონდომებით ცდილობდა.

„სათავადაზნაურო ბანკი“ სწორედ ამ მიზნით შეიქმნა. იდეა დიდ ქართველ მოღვაწეს დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნოდა, საგლეხო რეფორმის ჩატარების დრო მთავრობამ მემამულეებს გარკვეული თანხა მისცა დიმიტრი ყიფიანმა იმ დროში თავადაზნაურობის წრეები იმაზე დაითანხმა, რომ ამ თანხის ნაწილი არ დარიგებულიყო, არამედ ბანკის დასაარსებლად გადადებულიყო. დადგენილება ბანკის დაარსების შესახებ გამოტანილი იყო ჯერ კიდევ 1867 წელს, მაგრამ მისი ფაქტიური განხორციელება მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, 1872-1873 წლებში, ილიას უშუალო მონაწილეობითაა და თაოსნობით დაიწყო.

ილია ჭავჭავაძემ, დიმიტრიმ ყიფიანმა და დავით ყაზბეგმა შეიმუშავეს ბანკის წესდება, რომლის დასამტკიცებლად გაემგზავრენ რუსეთში 1873 წელს, სადაც წარმოუდგენელ წინააღმდეგობებს წა-



აწყდა ილია.

მოკლედ, დიდი დავიდარაბის შემდეგ, ილია ჭავჭავაძის ძალისხმევით 1874 წ. 28 მაისს რუსეთის იმპერიის ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა ბანკის წესდება.

1874 წ. 5 სექტემბერს ტფილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელთა საერთო კრებამ ილია ჭავჭავაძე ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია. ის 32 წლის განმავლობაში უცვლელად ხელმძღვანელობდა პირველ ქართულ ბანკს. 1875 წ. 15 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა ბანკი და საკრედიტო ოპერაციების წარმოებას შეუდგა.

საადგილმამულო ბანკმა 1909 წლამდე იარსება. მთავრობამ ბანკის დაარსებისთვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას უწყალობა 160000 მანეთი. ამასვე დაემატა 3 კატეგორიის თავად აზნაურები რომლებმაც სადამფუძნებლო თანხის სახით 95399 მანეთი შეიტანეს ბანკის საწესდებო კაპიტალში.

თბილისის საადგილმამულო ბანკს მისი დაარსების წელს ძირის ფულად 240 ათასი მანეთი ჰქონდა, ხოლო 25 წელიწადში მარტო წლიური შემოსავალი 232 ათას მანეთს შეადგენდა..

საადგილმამულო ბანკის წესდება შემდეგ მთავარ საფუძვლებს ემყარებოდა: „ბანკი მოქმედებს თბილისის გუბერნიის ფარგლებში და სასესხო ოპერაციებს აწარმოებს როგორც ნაღდი ფულითი ისე საკრედიტო ნიშნებით, ანუ გირავნობის ფარგლებით. სესხი გაიცემა გრძელვადიანი – 43 წლითა და 6 თვით, სოფლის მამულეებისთვის, ხოლო 27 წლითა და 6 თვით ქალაქის უძრავი ქონებისათვის. მოკლევადიანი სესხი გაიცემა 1 წლიდან 3 წლამდე ნაღდი ფულით უძრავი

ქონების გირავნობით, წლიური მოგებისგან, რომელიც ყველა ხარჯისა და ზარალის შემდეგ დარჩება, 45% უნდა გადაიდვას იმ თავნის შესადგენად, რომლითაც უნდა დაკმაყოფილდეს ქართველი ხალხის ზოგადსასარგებლო საჭიროებანი.

ბაზი უნდა გაესვას იმას, რომ პირველი ქართული ბანკის დამარსებლების, მათგან კი უპირველესად ილია ჭავჭავაძის, მიზანი იყო არა გამდიდრება, არამედ სხვადასხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების, საჭიროებების ფინანსური მხარდაჭერა, მოკლედ ეროვნული საქმის კეთება,

სათავადაზნაურო ბანკი ფაქტიურად ქართულ ეროვნულ ბან-





კად გადაიქცია. მას შემდეგ, რაც ეს ბანკი დაარსდა და მისი მდგომარეობა განმტკიცდა, მისი შემოსავლით ყველა ძირითადი ქართული კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულებები არსებობდა. ეს საფინანსო ინსტიტუტი თავისი შემოსავლიდან დახმარებას უწევდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართულ თეატრს, ქართულ გიმნაზიას, წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლას, სხვა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

ბანკთან შეიქმნა საგანგებო ფულადი ფონდი „საერთო-სასარგებლო კაპიტალის“ სახელწოდებით, რომლის პირდაპირი დანიშნულება იყო ქართული სკოლების, საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, სხვადასხვა ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებებისათვის ფულადი დახმარება. აღნიშნულ ფონდში გადაირიცხებოდა წმინდა მოგების 40%, ხოლო 1881 წლიდან - 35%. ბანკმა ილიას 32 წლიანი ხელმძღვანელობის პერიოდში სულ 2 მილიონამდე თანხა გასცა სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაზე. საბანკო საქმე სხვაგან არსად არ ყოფილა ისეთი ეროვნული შინაარსის როგორც ეს ილიას შემწეობით იმდროინდელ საქართველოში იყო..

გარკვეულმა ჯგუფმა იგრძნო, რომ ილიას ხელმძღვანელობით მოქმედ ბანკს თავის სასარგებლოდ ვერ გამოიყენებდა. გაისმოდა მოთხოვნები იმასთან დაკავშირებით, რომ ბანკს კრედიტების გაცემა გაეიოლებინა, გირაოში ჩადებული მამულების შეფასებისას შეერბილებინა მოთხოვნები და თუ ვინმე დროზე ვერ დააბრუნებდა სესხს არ მოეხდინათ გირაოში ჩადებული მამულის საჯაროდ გაყიდვა, დ. ყიფიანის და მისი მომხრეების, მოგვიანებით ივანე მაჩაბელის და მისი გუნდის მოთხოვნას, რომ ბანკს არ გაეყიდა დაგირავებული მამულები (დ. ყიფიანი და მისი მხარდამჭერები უფრო შორს მიდიოდნენ და ითხოვდნენ ბანკმა არათუ გაყიდოს მამული, არამედ მოუაროს, შემოსავლიანი გახადოს და ვალი დაფაროს ამით და შემდეგ იგი მემამულეს დაუბრუნოს). ილიამ ამ მოთხოვნას შემდეგნაირად უპასუხა: „აქ ამბობენ მამულები ნულარ გაიყიდებაო... სურვილი კარგია, მაგრამ არა გამოდის რა მართო სურვილისგან. ვინ ამბობს, კარგი იქნებოდა, რომ ბანკმა ფული გვასესხოს და უკან აღარ მოგვთხოვოს ხოლმე. უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ ბანკმა ყველას უხვად მოგვყაროს ფული, ოქროთი აგვაკოს, თუნდა არ ვთხოვდეთ კიდევ, მაგ-



რამ ჩემდა და თქვენდა სამწუხაროდ მაგისტანა ბანკები შეუძლებელია“. „ჩვენი უბედურება ის არის, რომ სესხით სარგებლობა არ ვიცით. ბანკმა ყველა ჩვენგანი უნდა შეაჩვიოს ვალის პირნათლად გადახდას, როცა მოვალე ვალს არ უხდის, პირიქით ეტანება კიდეც, ამისთანა მოვალესთან გულჩვილობის გამოჩენა სწორედ გულქვაობა იქნება... კარგად ვიცი, რომ ბევრი ათასს ბრალს დამდებს ამ გულქვაობისთვის, მაგრამ მე ასეთი ბრალისა არ მეშინიან, როგორც იმ ექიმს, რომელიც ავადმყოფს არჩენს...“

თავად-აზნაურთა ინტრიგანულმა წრემ ილიას წინააღმდეგ საჩივარი პეტერბურგის მთავრობას გაუგზავნა, თითქოსდა თბილისის საადგილმამულო ბანკში დიდი დარღვევები იყო. სარევიზიო კომისიამ პეტერბურგიდან ვინმე დობეცკის მეთაურობით, ეს დარღვევები ვერ აღმოაჩინა. მან პირიქით შეაქო ილია.

ეს ბანკი საუკეთესო და მისაბამი არისო მთელ იმპერიაშიო. ილია დაიღალა ამდენი წინააღმდეგობებით და თავის მომხრეებთან ერთად გადაწყვიტა დაეტოვებინა ბანკის გამგეობა.

საბანკო კრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და წასვლის განცხადების უკან წაღება მოსთხოვეს ილიას, ისინი გრძნობდნენ ქართულ საბანკო საქმეს რაოდენ სჭირდებოდა ილია.

ილიას სწამდა, რომ “ბანკი სიღარიბისა და უმეცრებისგან იხსნიდა ქვეყანას”... ამ საქმეს მან 30 წელი შესწირა. 1905 წელს ილია ჭავჭავაძე პროტესტის ნიშნად გადადგა, რადგანაც თავადაზნაურობის რეაქციული მთავრობა მას ბანკის სახსრებით გლეხთა მასობრივი მოძრაობის ჩახშობას აიძულებდა.



**თემა: ინფლაციის გამოწვევი მიზეზები და მისი აღმოფხვრის გზები.**

**სპეციალობა: მცირე ბიზნესის მწარმოებელი IV საფეხური**

**სტუდენტი: ნინო კუტივაძე**

**ხელმძღვანელი: პროფესორი: გიორგი ფოფხაძე**

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი ქვეყანა ცდილობს საკუთარი ვალუტის გამყარებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მომავალი ეკონომიკური განვითარების საქმეში. ვალუტის დევალვაცია კი მისი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია. შესაბამისად, ამ დროს საჭიროა შემუშავებული იქნას იმ ღონისძიებათა პაკეტი, რომელიც გაამყარებს სავალუტო კურსს. ამ მიმართულებით უმთავრეს ფაქტორად ყოველთვის იყო და იქნება საექსპორტო პროდუქციის გაზრდა, ინვესტიციების მეტი მოზიდვა, ვიდრე ეს გასულ წლებში განხორციელდა და საბოლოოდ ქვეყანამ უნდა მიაღწიოს იმ მაჩვენებელს, რასაც დადებითი საექსპორტო სალდო ჰქვია, რაც, გარანტი იქნება ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად და არსებული პრობლემების საბოლოოდ მოსაგვარებლად.

**თემა: სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება და მისი მნიშვნელობა.**

**სპეციალობა: მცირე ბიზნესის მწარმოებელი IV საფეხური**

**სტუდენტი: მარიამ ბოგვერაძე**

**ხელმძღვანელი: პროფესორი: გიორგი ფოფხაძე**

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება ნიშნავს გარანტირებულ პენსიებს, ჯანმრთელობის დაზღვევას, კულტურულ და საგანმანათლებლო უზრუნველყოფას და საერთო სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულებას. სამომავლოდ კი ხელს უწყობს ქვეყანა ეკონომიურად კიდევ უფრო განვითარდეს და შეიქმნას ისეთი პირობები, სადაც თითოეულ მოქალაქეს მაქსიმალურად გაუმჯობესდება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა ყოველწლიურად იზრდებოდეს.



**თემა: მოტივაცია და მისი ამაღლების გზები**  
**სპეციალობა: მცირე ბიზნესის მწარმოებელი IV საფეხური**  
**სტუდენტი: ანასტასია მეფარიშვილი**  
**ხელმძღვანელი: თონა ტალიკაძე**

რა არის მოტივაცია? ეს არის შინაგანი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ადამიანს უბიძგებს მოქმედებისაკენ. მოტივაცია განპირობებულია სურვილებითა და ამბიციებით. თუკი მკვეთრად გამოხატული ამბიცია ან სურვილი არ არის, ამ შემთხვევაში მოტივაციაც სუსტდება.

მოტივირებული ადამიანები გამოირჩევიან თავდაჯერებულობით, შეუპოვრობითა და შრომისმოყვარეობით.

მოტივაციის ამაღლების გზები:

- მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზანი
- წარმატების დიდი მოლოდინი
- შემაგულიანებელი ნივთები და/ან ახლობლები
- კონტროლი საკუთარ ქმედებაზე
- შეუპოვრობა და მიზანდასახულობა

იმასათვის, რომ მოტივირებულნი ვიყოთ, აუცილებელია დავისახოთ რეალური გეგმები. როდესაც მიზანი არის რეალური და ის ეთანხმება სურვილებს, საშუალება გვეძლევა გაორმაგებული ძალებით ვიმოქმედოთ მის მისაღწევად.

მიზნისკენ მიმავალ გზაზე თუ დავმარცხდებით, სიმშვიდე შევინარჩუნოთ და გავიხსენოთ ბილ გეიტსის ფრაზა: “მე რამოდენიმე საგნის გამოცდაში ჩავიჭერი, ჩემმა მეგობარმა კი ყველა ჩააბარა. ახლა ის ინჟინრად მუშაობს მაიკროსოფტში, მე კი ამ კომპანიის მფლობელი ვარ“.

**თემა: ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა**  
**სპეციალობა: ოფისის მენეჯერი III საფეხური.**  
**სტუდენტი: თამარი მემანიშვილი**  
**ხელმძღვანელი: პროფესორი თენგიზ კუპრაშვილი**

ბიზნესმენები თვლიან, რომ რომ მათი სოციალური პასუხისმგებლობა, მხოლოდ გადასახადების პატიოსნად გადახდაში, თავიანთი თანამშრომლებისათვის კარგი ხელფასების გადახდაში და სამუშაო



ადგილებით უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ისინი თვლიან, რომ საზოგადოების განვითარება სწორედ სამუშაო ადგილების შექმნითა და გადასახადების გადახდით ხდება. სახელმწიფოს ფუნქციაა მათი სწორი განაწილება.

სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია შემდეგ საკითხებს მოიცავს:

ა) სამუშაო გარემო, ადამიანის უფლებები - რამდენად შეესაბამება სამუშაო გარემო შრომის კანონმდებლობას, არის თუ არა საკონტრაქტო სისტემა, დაცულია თუ არა ადამიანის უფლებები.

ბ) დასაქმებულთა სოციალური დაცულობის დონე - სიცოცხლის, ჯამრთელობის დაცვის, საპენსიო უზრუნველყოფა, არსებული ადამიანური რესურსების განვითარება.

გ) გარემოს დაცვა - რამდენად ხორციელდება არსებული გარემოს კვლევა, გარემოს დაცვითი, რეციკლირების პროგრამების დაფინანსება.

დ) მოსახლეობასთან ურთიერთობა სოციალური პროექტები - კერძო, სათემო, მუნიციპალური, ან სამთავრობო. აქ მოიაზრება ფინანსური, პროდუქტებით, მომსახურებით, ტექნიკით, მატერიალური და ადამიანური რესურსებით დახმარება შემდეგ სფეროებში: განათლება, სპორტი, კულტურა და სხვა.

**თემა: რეკლამის ისტორია საქართველოში**

**სპეციალობა: მცირე ბიზნესის მწარმოებელი V საფეხური.**

**სტუდენტი: ხატია ბაჩილავა**

**ხელმძღვანელი: პროფესორი თენგიზ კუპრაშვილი**

რეკლამას, ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივი მოვლენებს აქვს თავისი წარმოშობის და განვითარების ისტორია. ზეპირი რეკლამა პირველად ჩაისახა მონათმფლობელურ ბაზარზე. მონის ყიდვას თან ახლდა მისი ღირსებების თავისებური ანოტაცია: “მას ორივე ყურით შესანიშნავად ესმის, თვალებით კარგად ხედავს, მას აქვს ორი ხელი და ორი ფეხი, რომლებიც კარგად დარბიან”...

მე-20 საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთმა ცნობილმა რეკლამისტმა განაცხადა: „რეკლამა წარმოადგენს საზოგადოების სარკეს. არაფერი არ ასახავს ქვეყანას და ეპოქას უკეთ ვიდრე რეკლამა. ერების იდეა-



ლებზე მისი სარეკლამო განცხადებები ლაპარაკობენ“.

რეკლამის შემქმნელები შთაგონებას იღებენ მათი ქვეყნის ყოველ-დღიური ცხოვრებიდან, რომლის მენტალიტეტშიც აისახება ნაციონალური თავისებურებანი. ისინი სხვადასხვანაირად აზროვნებენ და მუშაობენ.

განსაკუთრებული შესწავლის საგანს წარმოადგენს რეკლამის განვითარება საქართველოში. მოყვანილია ისტორიის სხვადასხვა პერიოდში გამოყენებული სარეკლამო საშუალებებისა და სახეების - მაგალითები.

**თემა: ავტორთა კოლექტიურ საფუძველზე მმართველი  
ორგანიზაცია**

**სპეციალობა: ოფისის მენეჯერი III საფეხური.**

**სტუდენტი: იზოლდა მაჭარამე**

**ხელმძღვანელი: მელანო კარანამე**

ინტელექტის, ნიჭიერებისა კულტურის ქვეყნად საქართველოს მიჩნევა ალბათ ყოველ ქართველს უხარებს გულს. ინტელექტუალური საკუთრება სიმდიდრეა, რომლის დაცვა და მოფრთხილებაც თითოეული ჩვენგანის ვალია.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა ბიზნესი საკუთარი თამაშის წესებს ამკვიდრებს მნიშვნელოვანია ყურადღების კონცენტრირება საკუთრების ამ ობიექტის მიმართ, რათა, დაცული იქნას საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სუბიექტების უფლებები და ამ - სფეროს დაცულობამ, გარანტია მისცეთ პირებს შემდგომ საქმიანობაში თავიანთი უფლებების დაცვისა.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთა არამართლოზომიერი გამოყენების პრევენციის თავიდან აცილებამ, გარანტია უნდა მისცეთ სუბიექტებს, რათა მათ დაცულად იგრძნონ თავი როგორც შემოქმედებით, ასევე ბიზნეს სფეროში. ამ მიზნებს კი ემსახურება საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტო, რომლის შესახებაც გვექნება მოხსენება ჩვენს სამეცნიერო კონფერენციაზე.



**თემა: ინფლაცია საქართველოში**  
**სპეციალობა: მოლარე (ბანკის და ა.შ.) III საფეხური.**  
**სტუდენტი: ქეთევან კიზირია**  
**ხელმძღვანელი: პროფესორი ხათუნა თოდუა**

ინფლაცია არის იმ საქონლისა და მომსახურების საშუალო ფასების დონის ზრდა, რომელიც იწარმოება და იყიდება ეკონომიკაში. ინფლაცია, თავისი ნეგატიური შედეგების გამო, საზოგადოებაში უარყოფით ემოციებს იწვევს. მაღალ ინფლაციასთან დაკავშირებული უარყოფითი ასპექტებია: ხარჯების ზრდა, რაც ძლიერ დარტყმას აყენებს მთლიანად საზოგადოებას და განსაკუთრებით დაბალ შემოსავლიან ოჯახებს; ეროვნული ვალუტის მსყიდველობით უნარიანობის კლება, ეროვნული ვალუტის გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში; რეალური მოგების კლება ბიზნესში, პროდუქტების კონკურენტულობის დაცემა; ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ინფლაცია სერიოზულად აფერხებს ეკონომიურ ზრდას.

ამასთანავე, ხდება ინვესტიციებზე ამონაგების შემცირება, საპროცენტო განაკვეთების მატება, რაც კრედიტს აძვირებს, გარდა ამისა, თუ ინფლაციის დონე მოცემულ ქვეყანაში უფრო მაღალია, ვიდრე მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, პროდუქტების კონკურენტუროვნარიანობა ეცემა, რაც ასევე აფერხებს ეკონომიკურ ზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში საქართველო წარმატებით ახერხებდა ინფლაციური ზეწოლის შეკავებას ერთნიშნა მაჩვენებლის დონეზე, 2014 წელი საკმაოდ პრობლემური აღმოჩნდა ამ თვალსაზრისით; დღეს ინფლაცია საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს.



**თემა: საგადასახადო სისტემის სრულყოფის აქტუალური საკითხები.**

**სპეციალობა: ბუღალტერია III საფეხური.**

**სტუდენტი: ნინო ბიძიგური**

**ხელმძღვანელი: პროფესორი მეგი გორგასლიძე.**

საგადასახადო სისტემა წარმოადგენს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ დადგენილი გადასახადების, მათი დაწესების, შეცვლის, გაუქმებისა და გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას. ამ სისტემის როლი და სტრუქტურა განისაზღვრება სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილებით.

ქვეყანაში საგადასახადო სისტემის სრულყოფა დამოკიდებულია სწორად ჩამოყალიბებულ საგადასახადო პოლიტიკაზე, რომლის მიზნებია: ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა და ფინანსური უსაფრთხოების დაცვა; ბიზნესის სტიმულირება, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზის განვითარება; გადასახადების სტაბილურობა; გადასახადების დადგენისა და ამოღების წესის გამარტივება; სამართლიანობის პრინციპების დაცვა; შეღავათების განსაზღვრა; ქვეყნის ტერიტორიალური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეთა გამოთანაბრება.

საგადასახადო სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებებია:

საგადასახადო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა; საგადასახადო სისტემის მაქსიმალურად გამარტივება; პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ოპტიმალური შეთანაწყობა; საგადასახადო განაკვეთების გონივრული შემცირებით საგადასახადო პრესინგის შესუსტება; ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის სრულყოფა ინფლაციური პროცესების გათვალისწინებით; საგადასახადო დაბეგვრის პროცესში სამეურნეო სუბიექტების იმ რეალური დანახარჯების მაქსიმალური გათვალისწინება, რომლებიც დაკავშირებულია სამეურნეო საქმიანობასთან; საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურად განაწილება საქონელმწარმოებელზე, მომხმარებელსა და კაპიტალზე.





**თემა: საგადასახადო ტვირთის განაწილების ოპტიმიზაციის  
აუცილებლობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში.  
სპეციალობა: მცირე ბიზნესის მწარმოებელი V საფეხური.  
სტუდენტი: ლეილა მანჯგალაძე  
ხელმძღვანელი: პროფესორი მეგი გორგასლიძე**

ქვეყნის ეკონომიკაში გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური განაწილების საკითხი კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად. ძალიან ხშირად საგადასახადო ტვირთი ფასდება სახელმწიფოს მიერ ამოღებული სავალდებულო გადასახადების საერთო მოცულობის შეფარდებით მთლიან შიდა პროდუქტთან. მთლიანი საგადასახადო ტვირთი იზომება აბსოლუტურ გამოხატულებაში-ფულად ერთეულებში, რისთვისაც საჭიროა ვიცოდეთ საგადასახადო დაბეგვრის ნორმები.

გადასახადები შეიძლება გამოყენებული იქნეს ეკონომიკის დარგობრივ, შიდა დარგობრივ, დარგთაშორის და რეგიონთაშორის პროპორციებზე ზემოქმედების ინსტრუმენტად.

საგადასახადო ტვირთის ზრდა ამცირებს შრომით და სამეწარმეო აქტივობას და პირიქით, მისი შემსუბუქება იწვევს ქვეყანაში ეკონომიკის გამოცოცხლებას.

ამერიკელმა მეცნიერმა ალაფერმა გაანალიზა საგადასახადო განაკვეთის სიდიდესა და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს შორის დამოკიდებულება. მან დაასაბუთა, რომ გადასახადის ჯამური ოპტიმალური განაკვეთი უნდა განისაზღვროს 50%-ის ოდენობით. ეს მოვლენა ცნობილია „ლაფერის ეფექტის“ სახელწოდებით.

საქართველოს საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაციის გარეშე ხელს ვერ შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და საგადასახადო ბაზის გაფართოებას.



**თემა: „ბიზნესი, საქმიანი ურთიერთობების სწორად წარმართვა და ეთიკა.“**

**სპეციალობა: წარმოების ეკონომიკა**

**სტუდენტი: კალანდაძე ქეთევან**

**ხელმძღვანელი: პროფესორი მანანა ბანძელაძე**

ბიზნესის სწორად ორგანიზებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საქმიანი ურთიერთობების სწორად წარმართვის ხელოვნება, როგორც სტენდარლი აღნიშნავდა: საუბრის დაწყებამდე აუცილებელია ორივე მხარე ფლობდეს გარკვეულ ინფორმაციას, რომელიც გროვდება თანდათანობით კითხვა-პასუხის გზით.

საქმიანი საუბრის წარმატების ერთ-ერთი პირობაა ტაქტი. ეთიკაში ცნობილია რამდენიმე წესი, რომელიც მოხსენებაში ვრცლადაა განხილული, რომელთა დაცვაც აუცილებელია მეორე მხარის დასარწმუნებლად.

საქმიანი საუბარი იყოფა რამდენიმე ეტაპად, მასზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ მოლაპარაკების თემატიკა არამედ გარე ფაქტორებიც.



**თემა : ორგანიზაციული კულტურა და მისი ეთიკური მხარეები.**  
**სპეციალობა: წარმოების ეკონომიკა**  
**სტუდენტი: ფარცვანია სოფიო**  
**ხელმძღვანელი: პროფესორი მანანა ბანძელაძე**

ორგანიზაციულ კულტურის ცნებაში იგულისხმება გარკვეული წესები, რომლის მიხედვითაც დგინდება ორგანიზაციის შიგნით მოღვაწე ადამიანთა ურთიერთობები.

ორგანიზაციული კულტურის ცნება რომ გავიგოთ ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ თვითონ კულტურის ცნება .

თანამედროვე ეთიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდა ცნებები: შრომის კულტურა, აზროვნების კულტურა, ყოფაქცევის კულტურა და ა.შ.

კულტურაში დომინირებს ზნეობა, ამიტომ საორგანიზაციო კულტურაშიც უპირატესობა ენიჭება ზნეობრივ ნომრებს. მათ მიეკუთვნება: თავმდაბლობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა, ტაქტი, ეთიკური გადაწყვეტილების მიღება და ა.შ., რომლებიც ვრცელადაა განხილული მოხსენებაში.



## მიმართულება - ჯანდაცვა

თემა: ფარმაცევტის ემოციური კომპეტენცია  
სპეციალობა: ფარმაცევტის თანაშემწე V საფეხური  
სტუდენტი: თამარ უგრეხელიძე  
ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო აბულაძე

ადამიანი ნებისმიერი, და მათ შორის, ფარმაცევტული საწარმოს მთავარი რესურსი და მისი უმნიშვნელოვანესი კაპიტალია. მე-20 საუკუნის ბოლოსათვის ჩამოყალიბდა მტკიცე აზრი, რომ კონკურენტული უპირატესობების გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს არა მხოლოდ გარე, არამედ შიდა გარემო. სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორებს უფრო ძლიერი გავლენა აქვთ შრომის მწარმოებლურობაზე, ვიდრე ფიზიკურს. საქართველოს ფარმაცევტულ-დარგში ახალი ადამიანები, ახალი ურთიერთობები ისევე აუცილებელია, როგორც სხვა ქვეყნებში.

ყველა ფარმაცევტ-მენეჯერმა და ლიდერმა უნდა დაიმახსოვროს, რომ ფარმაცევტული ორგანიზაციის ადამიანურ კაპიტალს შეადგენს:

1. გონების კაპიტალი;
2. გულის კაპიტალი (Heart work);
3. ორგანიზაციული კაპიტალი;
4. ორგანიზაციის კლიენტები.

წარმატების სტრუქტურა: ლიდერის თვისებები, ბუნება, ეთიკის გრძნობა, ურთიერთობის ჩვევები, წვრთნისა და ცოდნის შექმნის დაუცხრომელი სურვილი.

ორგანიზაცია წარმოადგენს ორი ან მეტი ადამიანის შეგნებულად კოორდინირებულ მოქმედებათა სისტემას. ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანთა ჯგუფს ეწოდება ადამიანური რესურსი (Human resource) ანუ კადრები.

**მმართველობითი ლიდერობა** არის ადამიანთა შორის ურთიერთობები, რომელთა ცენტრშია ლიდერი. მის პიროვნულ მახასიათებლებსა და მმართველობით კომპეტენტურობაზე დიდადაა და-



მოკიდებული ორგანიზაციის კურსი და შედეგიანობა. ამ დარგის ცნობილი მკვლევარი პიტერ ფ. დრუკერი აღნიშნავს, რომ ორგანიზაციის მენეჯმენტს მიეკუთვნება არა მხოლოდ ის, ვინც დაიკავა ადმინისტრაციული თანამდებობები, არამედ ისინიც, ვისაც ძალუმს ორგანიზაციის პრობლემების რეალურად გადაწყვეტა. ასეთები არიან მმართველობითი ლიდერები. თანამედროვე ბაზრის მკაცრ მოთხოვნებს განსაზღვრავს იმ მენეჯერის კონკურენტული უპირატესობა, რომელიც ორგანიზაციის სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნების მისაღწევად მუდმივად სრულყოფს თავის მმართველობით უნარ-ჩვევებს. მენეჯერების შესაძლებლობა ეფექტურად მართოს პერსონალი, დროზე მოძებნოს და რაციონალურად გამოიყენოს ორგანიზაციის ადამიანური პოტენციალი, ყოველთვის როდი შეესაბამება არჩეული სტრატეგიების მოთხოვნებს.

**ადამიანის საერთო ინტელექტი გ**, ორი ნაწილისაგან შედგება, ესენია გონებრივი შესაძლებლობები - კოგნიტიური ინტელექტი - IQ და ემოციური ინტელექტი - EQ.

ინტელექტის კოეფიციენტი Intelligence Quotient IQ (ინგლ., იკითხება როგორც აი ქუ) არის ამავე ასაკის საშუალო სტატისტიკური ინტელექტის ადამიანის ინტელექტის დონესთან შედარებით ადამიანის ინტელექტის რაოდენობრივი შეფასება. ისაზღვრება სპეციალური ტესტების საშუალებით. IQ ტესტები გათვლილია არა ერუდიციის (ცოდნის) დონის, არამედ გონებრივი შესაძლებლობების შეფასებისათვის. იგი 50% ადამიანებს საშუალოდ 90-110, ადამიანთა 25%-ს კი 90-ზე დაბალი და 110-ზე მაღალი აქვთ. უმაღლესდამთავრებულთა საშუალო IQ 115-ია, ხოლო ფრიადოსნებისა - 130-140. 70-ზე ნაკლების IQ მქონე ადამიანები კვალიფიცირდებიან, როგორც გონებრივად ჩამორჩენილები.

ემოციური ინტელექტი Emotional Quotient EQ (ი ქუ) ანუ Emotional Intelligence, საკუთარი და სხვისი ემოციების აღქმასა და გაცნობიერებაში მონაწილე მენტალური შესაძლებლობებია. ადამიანები, ემოციური ინტელექტის მაღალი დონით, კარგად გეგმულობენ საკუთარ და სხვა ადამიანების გრძნობებსა და ემოციებს; შეუძლიათ საკუთარი ემოციური სფეროს მართვა და ამიტომაც მათი ქცევა საზოგადოებაში უფრო ადაპტირებულია და გარშემომყოფებთან ურთიერთქმედებაში ადვილადაც აღწევენ მიზანს.

ტერმინი „ემოციური ინტელექტი“ ახალი ცნებაა. პირველი



პუბლიკაციები ამ პრობლემას მიეძღვნა 1990 წელს ჯ. მეიერისა და პ. სელოვის შრომებში. მათ მოგვაწოდეს განმარტება და გაზომვის ხერხი. ემოციური ინტელექტი არის მენტალური უნარების ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს საკუთარი და გარშემო მყოფთა ემოციების გაცნობიერებასა და გაგებას.

სხვა მოდელი შემოგვთავაზა დ. გოულმანმა (გოლმანმა), ამერიკელი ფსიქოლოგი გოლმანი (Goleman, 1946) აყალიბებს თეორიას, რომლის მიხედვით, ადამიანის წარმატებისათვის უფრო მნიშვნელოვანია მაღალი ემოციური ინტელექტის ქონა, ვიდრე მაღალი ზოგადი ინტელექტისა. განასხვავებენ ემოციური ინტელექტის ხუთ ძირითად უნარს: თვითშემეცნება, თვითრეგულაცია, მოტივაცია, ემპათია და სოციალური უნარ-ჩვევები.

ემოციური ინტელექტი, ანუ გამოცდილება და ჩვევები ძალიან მნიშვნელოვანია ფარმაცევტული დაწესებულების მენეჯმენტში.

**თემა: ფარმაციის განვითარება საქართველოში და პირველი აფთიაქები ქუთაისში**

**სპეციალობა: ფარმაცევტის თანაშემწე V საფეხური.**

**სტუდენტი: თინა ჯამბურაძე**

**ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო აბულაძე**

ქართულ ფარმაციას მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ისტორია და სახელოვანი ტრადიციები აქვს. კოლხეთის მეფის აიეტის ლეგენდარული მედეა და მისი სამკურნალო ხელოვნება მთელს მსოფლიოში ჯერ კიდევ 3400 წლის წინ იყო ცნობილი. ამას მოყვა სამონასტრო-სატაძრო მედიცინა. განუწყვეტლივ ვითარდებოდა ხალხური მედიცინა. ცნობილია ძალიან მნიშვნელოვანი დამწერლობითი სამედიცინო ძეგლები, ქართული კარაბადინები.

ქუთაისი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ყოველთვის და არც ფარმაციის განვითარებით ჩამორჩებოდა მთელს საქართველოსა და მსოფლიოს. ზოგჯერ აშკარად დაწინაურებულიც კი იყო. იგი მდებარეობს იმერეთის გულში და ისტორიული ქარტეხილების გზაზე მას ბევრი კარგი და ბევრიც ცუდი დღეები აქვს ნანახი.

ქუთაისის ისტორია მჭიდროდაა გადანასკვლელი მთელი საქარ-



თველოს ისტორიასთან. ჩვენ შევეცადეთ აგვეწერა მთელი საქართველოს ფარმაციის მდგომარეობა ქუთაისის მაგალითზე.

ჩვენი მიზანი იყო დასავლეთ საქართველოს პირველი აფთიაქების გახსნის თარიღების დაზუსტება. დადგენილია, რომ დასავლეთ საქართველოში *პირველი, ნორმალური (კერძო)* აფთიაქი გაიხსნა ქუთაისში პეტრე-პავლე ივანეს ძე კოკოჩაშვილის მიერ 1860 წლის 22 იანვარს და მას ხელმძღვანელობდა პროვიზორი დ. ანციპო (1864 წ.), შემდეგ - მ. არაზაშვილი, 1871 წლიდან კი - ცეზარ ივანოვსკი; ამავე აფთიაქის მმართველი იყო ნ.კ. უზნაძე, მაგრამ რომელ წლებში, ამისი ზუსტი თარიღის დადგენა ვერ მოხერხდა.

1865 წელს ახალციხეში ფერშალმა მაისურაძემ გახსნა პირველი აფთიაქი, რომელიც ახალციხის საზოგადოებრივ თვითმმართველობას ეკუთვნოდა. „თავისუფალი აფთიაქები გუბერნიაში ორია, უკანასკნელი 1865 წელს გაიხსნა; ამ აფთიაქისათვის ახალციხის საზოგადოებამ თავის ხარჯზე დაიქირავა სათავსო“ - ასე იუწყებოდა იმდროინდელი გაზეთი.

ფოთში, დ. ანციპოს აფთიაქი გაიხსნა 1866 წელს. ეს იყო პირველი აფთიაქი ამ ქალაქში. აფთიაქი ჯერ იყო კერძო და იგი ეკუთვნოდა პროვიზორ დ. ანციპოს, შემდეგ - მის მემკვიდრეებს, ხოლო უკვე მეოცე საუკუნის დამდეგს იგი არენდით აიღო ფოთის ქალაქის თვითმმართველობამ და მმართველად მოიწვია პროვიზორი ა.ი. მდივანი (1910 წ.), შემდეგ იმავე აფთიაქს განაგებდა პროვიზორი მ.ლ. კისსერი.

ჩვენს მიერ დადგენილია ქუთაისში მეორე ნორმალური კერძო აფთიაქის გახსნის თარიღიც - 1867 წელი. იგი გახსნა პროვიზორმა შნეიდერმა იმდროინდელ „ნემეცკაიას“ ქუჩაზე (1899 წ.-დან ამ ქუჩას ეწოდა ა. პუშკინის სახელი) და მმართველის სახით მოიწვია პოლონელი პროვიზორი ვიქტორ ანტონის ძე ვიტუშინსკი.

1874 წლიდან ეს აფთიაქი შეისყიდა ვიტუშინსკიმ და უკვე მას ეკუთვნოდა, თანაც თვით მართავდა მას. ეს აფთიაქი დღესაც მოქმედია, არის ავტორიზებული და მდებარეობს ქუთაისში, იმავე ადგილას (ქუთაისის № 4 აფთიაქი პუშკინის ქუჩაზე).

აფთიაქები გაიხსნა: 1876 წელს ოზურგეთში, 1879 წელს ზუგდიდში, ხონში, ნოვო-სენაკში, ყვირილაში (ახლა - ზესტაფონი), ონში, სოხუმში (პროვიზორ ივანოვსკის აფთიაქი) და ბათუმში (პროვიზორ მილიუტინის აფთიაქი).



ყველა ნორმალური აფთიაქი, ვისი კუთვნილებაც არ უნდა ყოფილიყო იგი, და სოფლის აფთიაქების ნაწილი, იმართებოდა პროვიზორების მიერ და მხოლოდ სოფლის აფთიაქების მცირე რიცხვი - აფთიაქარის თანაშემწეების მიერ. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში სოფლის აფთიაქში მუშაობდა ფერშალიც.

1888 წელს ქუთაისში პოლონელი პროვიზორის ფრანც ანტონის ძე რელიგიონის მიერ გაიხსნა მესამე ნორმალური კერძო აფთიაქი, იგი 1893 წლიდან გადაიტანეს ორპირის ქუჩაზე (ქუთაისის ყოფილი № 2 აფთიაქი გრიშაშვილის ქუჩაზე - ამჟამად PSP-ქუთაისის შენობა).

ქუთაისის სამივე აფთიაქი თავმოყრილი იყო ქალაქის ცენტრში, რის გამოც ქალაქის განაპირა მხარეების წამალთმომარაგება გაძნელებული იყო.

1907 წელს გ.პ. ნიკიტინმა და ლ.პ. კოკოჩაშვილმა გახსნეს ახალი აფთიაქი ბათუმში. პროვიზორმა დ. გლუშაკოვმა 1912 წელს გახსნა რიგით მე-5 - კერძო აფთიაქი ქუთაისში (მას სოციალისტური წყობილების დროს ეწოდებოდა № 3 აფთიაქი და იგი დღეს გაუქმებულია - ე.წ. „გარნიაკის“ აფთიაქი ძველ შენობაში).

1902 წელს სოფელ სვირში (ქუთაისის მაზრა) გაიხსნა სოფლის აფთიაქი, რომელსაც მართავდა დ. ჯუღელი. ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილების მიერ 1912 წელს პროვიზორ ი. დავიდოვსკის უფლება მიეცა გაეხსნა სოფლის აფთიაქი კაცხში (შორაპნის მაზრა).

1901 წლის 21 ივლისს ქუთაისში გაიხსნა ქალაქის პირველი აფთიაქი, რომელიც ეკუთვნოდა არა ვინმე კერძო პირს, არამედ ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობას, რაც პროგრესული ნაბიჯი იყო. ამ აფთიაქის პირველი მმართველი იყო პროვიზორი გიორგი პავლეს ძე ნიკიტინი, შემდეგ, 1907 წლიდან პროვიზორი არქიფო დავითის ძე მხეიძე.

ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაცია ეყრდნობა საარქივო დოკუმენტებს და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალებს.





**თემა: ნამდვილი და არაზღაპრული „უკვდავების წყაროები“  
წყალტუბოში**

**სპეციალობა: მასაჟისტი III საფეხური.**

**სტუდენტი: ლია სვანიძე**

**ხელმძღვანელი: ნია მოსეშვილი**

საქართველოს ტერიტორიაზე 200-ზე მეტი მინერალური წყაროა აღმოჩენილი, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში სამკურნალოდ იყენებდა. მინერალური წყლები წამალზე უფრო ეფექტურად კურნავს სხვადასხვა დაავადებებს. თუკი სადმე მართლაც არსებობს ნამდვილი და არაზღაპრული „უკვდავების წყარო“, იგი წყალტუბოში ჩქეფს დედამიწის გულიდან. წყლების ნაყოფიერი ზემოქმედება და სამკურნალო თვისებები ადამიანის ორგანიზმზე უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. წყალტუბოს წყაროები ქიმიური ანალიზის საფუძველზე მიაკუთვნეს ინდიფერენტულ წყაროებს, რომლის ანალოგი არის გერმანიაში ვილბადის მინერალური წყლები და ჩეხეთში ტეპლიცის მინერალური წყაროები.

**თემა: მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან (დაუნის სინდრომი)**

**სპეციალობა: მასაჟისტი III საფეხური.**

**სტუდენტი: ჟანა უგულავა**

**ხელმძღვანელი: ნია მოსეშვილი**

ამ დაავადებამ სახელი მიიღო ინგლისელი ექიმის ჯონ ლ. დაუნისგან, რომელმაც 1866 პირველმა ზუსტად აღწერა ეს სინდრომი. 1959 წელს ფრანგმა გენეტიკოსმა ჟერომ ლეჟენმა დაადგინა, რომ დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვები იბადებიან დამატებითი ქრომოსომით, 46-ის ნაცვლად 47-ით. მოგვიანებით მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ეს დამატებითი ქრომოსომა 21-ე ქრომოსომის ასლი იყო. ასევე არსებობს დაუნის სინდრომის სხვადასხვა შემთხვევები: ტრისომია, ტრანსლოკაცია და მოზაიციზმი.

1972 წელს ამერიკის მონღოლიზმის საზოგადოებას გადაერქვა სახელი და ეწოდა ამერიკის დაუნის სინდრომის ასოციაცია.

2006 წლის 21 მარტს პირველად აღინიშნა დაუნის სინდრომის



მქონე პირთა საერთაშორისო დღე. დღე და თვე შემთხვევით არ აურჩევიათ, 21-ე ქრომოსომას აღნიშნავს თარიღი, ხოლო მარტი როგორც წელიწადის მესამე თვე ტრისომიულ მოვლენას ყველაზე ხშირად დაუნის სინდრომს უკავშირებენ დედის ასაკს. რაც უფრო ასაკოვანია დედა, მით უფრო იზრდება დაავადების რისკი.

2002 წლისთვის ევროპაში 92% შემთხვევებში დიაგნოზის დასმის შემდეგ ორსულობას ხელოვნურად წყვეტდნენ. ბოლო მონაცემებით, თუ მამის ასაკი 42-ს ზემოთაა, მაშინაც იზრდება რისკი. პრენატალურ პერიოდში ორსულის სისხლის ანალიზში მომატებული პროტეინია და ქორიონული ჰონადოტოპრინი არის დაუნის სინდრომის დამატებითი მახასიათებელი.

**თემა: გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქციის ასპექტები სპეციალობა: პრაქტიკოსი ექთანი V საფეხური.**

**სტუდენტი: ლიკა ლიპარტელიანი**

**ხელმძღვანელი: პროფესორი ლელა ნიკოლეიშვილი**

გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები, ისეთი ორგანიზმებია, რომელთა გენეტიკური მატერია (დნმ) სახეცვლილია იმგვარად, რომელთა გარდაქმნა ჩვეულებრივ, ბუნებრივ პირობებში არ ხდება. ამ ტექნოლოგიას ხშირად "თანამედროვე ბიოტექნოლოგიას", "გენურ ტექნოლოგიას", "რეკომბინანტურ დნმ ტექნოლოგიას" ან "გენურ ინჟინერიას" უწოდებენ.

გენეტიკურად მოდიფიცირებული საკვები (გმს) არის მიღებული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმიდან (გმო): მცენარეებიდან, ცხოველებიდან და მიკროორგანიზმებიდან. (გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები იღებენ ახალ თვისებებს გენომის გადატანით საკუთარ გენომში სხვა ორგანიზმიდან (ტრანსგენეზი) ან ნათესავური გვარის გენომიდან (ცისტოგენეზი).

გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტების შემუშავებისა და ფართოდ გავრცელების ძირითადი მიზეზია მწარმოებლისა და მომხმარებლისთვის გარკვეული ხიბლი. კერძოდ გენმოდიფიცირებული პროდუქცია დაბალი ღირებულებისაა, ამასთან ერთად ამ პროდუქციის შენახვის ვადები გაცილებით ხანგრძლივია, ხოლო საკვები ღირებულება მაღალი.



ამ სახის პროდუქტები ადვილად „მოსაყვანია“ და გააჩნიათ იაფი ღირებულება. უბედურება ისაა, რომ ამ პროდუქტებს შეუძლიათ ადამიანის ორგანიზმში გარკვეული მუტაციებისა და ისეთი რთული დაავადების გამოწვევა, როგორცაა მარგელონის დაავადება.

ამჟამად ევროკავშირის ქვეყნებში აუცილებლობას წარმოადგენს ბიოტექნოლოგიის მეთოდით წარმოებული ან გენმოდირებული ორგანიზმების შემცველი პროდუქციის მარკირება. კანონმდებლობა მოიცავს ბუნებრივი საკვები პროდუქტის გენმოდირებული მატერიით შემთხვევითი დაბინძურების პრობლემატიკასაც. კანონით განსაზღვრულია ერთპროცენტიანი მინიმალური ზღვარი დნმ-ის ან ცილებისათვის, რომელიც წარმოიქმნება გენეტიკური მოდიფიცირების შედეგად. ამ ზღვარის ქვემოთ აუცილებელია პროდუქციის მარკირება.

მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა, რომლებიც მთლიანად გამოცხადდნენ გმო-სგან თავისუფალ ზონად. მათ შორის არის საბერძნეთი, რომელმაც 2004 წელს მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, ადგილობრივ ბაზარზე 12% მაინც გენმოდირებულ პროდუქციას შეადგენს, განსაკუთრებით კი სოიოსა და ხორბლის სახით.

**თემა: გერონტოლოგია**

**სპეციალობა: პრაქტიკოსი ექთანი V საფეხური.**

**სტუდენტი: სოფიო ჩუბინიძე**

**ხელმძღვანელი: პროფესორი ლელა ნიკოლეიშვილი**

ცოცხალი ორგანიზმები იცვეთებიან და ბერდებიან, როგორც ყველაფერი იცვეთება და ბერდება ბუნებაში.

თანამედროვე გერონტოლოგია ამბობს, რომ სიცოცხლის მეორე ნახევარში ორგანიზმში ხდება ისეთი პროცესების ჩართვა, რომლებიც ხელს უწყობენ მის თვითგანადგურებას, დაბერებას და სიკვდილს.

ხანში შესულ ადამიანს 60-74 წლის ასაკში უწოდებენ, თუმცა ერთნაირი კალენდარული ასაკის ადამიანებს ორგანიზმში მიმდინარე დაბერების პროცესის ინტენსივობის კვალობაზე შესაძლოა საკმაოდ



განსხვავებული ბიოლოგიური ასაკი ჰქონდეთ.

თეორიულად ორგანიზმის კალენდარული და ბიოლოგიური ასაკი ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. თუ ბიოლოგიური ასაკი ჩამორჩება კალენდარულს, ამბობენ, რომ ადამიანი ასაკთან შედარებით ახალგაზრდულად გამოიყურება. როცა ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთს ემთხვევა, ფიზიოლოგიური პროცესები ნორმალურად მიმდინარეობს, ხოლო როცა კალენდარული ასაკი ჩამორჩება ბიოლოგიურს, ეს ნაადრევი სიბერის ნიშანია.

სიბერის ასახსნელად შემუშავებულ უამრავ თეორიას შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ამერიკელი მეცნიერის დილმანის მიერ შექმნილი დიდი ბიოლოგიური საათის თეორია, რომლის თანახმადაც ყოველ ორგანიზმში მუშაობს სიბერის ნეიროენდოკრინული ბიოსაათი. იგი არეგულირებს ორგანიზმის მდგომარეობის მუდმივობას - ჰომეოსტაზს. ასაკის მატებასთან ერთად ეს საათი მუშაობას წყვეტს და ჰომეოსტაზიც ირღვევა. ამის შედეგად იზლება ორგანოთა შეთანხმებული მუშაობაც. დილმანის აზრით, სიბერე ფიზიოლოგიური პროცესი კი არა, დაავადებაა, რომლის განკურნებაც "დიდი ბიოლოგიური საათის" ამუშავებით და ჰომეოსტაზის აღდგენით უნდა მოხდეს.

“სიბერე ჩვენი ცხოვრების საფეხურია, რომელსაც, ისევე როგორც მის სხვა ეტაპებს, აქვს საკუთარი სახე, საკუთარი ატმოსფერო და ტემპერატურა, საკუთარი სიხარული და დარდი.”-ჰესე ჰერმან....

პატივი ეცი სიბერეს, ის შენი მომავალი!!!

**თემა: C ჰეპატიტის ეპიდემიოლოგია**

**სპეციალობა: პრაქტიკოსი ექთანი V საფეხური**

**სტუდენტი: ცისმარი ჩუბინიძე**

**ხელმძღვანელი: დალი ქობულაძე**

ჯანმრთელობის გლობალურ პრობლემებს შორის ვირუსულ ჰეპატიტებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით სიტუაცია დღეისათვის ამგვარია:

- მსოფლიოში ვირუსული ჰეპატიტით ავადაა 480-520 მლნ ადა-



მიანი.

- ღვიძლის პირველადი კიბოს შემთხვევათა 78%, ღვიძლის ციროზის შემთხვევათა 57% და ყოველწლიურად გარდაცვალების მილიონზე მეტი შემთხვევა ასოცირდება ვირუსულ ჰეპატიტებთან, რომელთა შორის წამყვანი ადგილი C ჰეპატიტს უჭირავს.

- ქრონიკული C ჰეპატიტით მსოფლიოში ავადაა 130-150 მლნ ადამიანი და ყოველწლიურად გარდაცვალების 350-500 ათასი შემთხვევა ასოცირდება C ჰეპატიტთან.

ინფექციურ დაავადებებს შორის C ჰეპატიტს გააჩნია ქრონიზაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, რომელიც 50-85%-ს უტოლდება. ქრონიკული ფორმით დაავადებულთა 15-30%-ს

უვითარდება ღვიძლის ციროზი, ხოლო 1-5%-ს ღვიძლის კიბო.

## **C ჰეპატიტის ეპიდემიას მსოფლიოში ორი ტენდენცია ახასიათებს**

- ერთის მხრივ, კონცენტრირებული ეპიდემია მაღალი რისკის ჯგუფებში აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში.
- ხოლო მეორე მხრივ გენერალიზებული ეპიდემია აივინფექციის მაღალი პრევალენტობის ქვეყნებში, კერძოდ აფრიკის რეგიონში.
- ზოგადად, სარწმუნო ეპიდემიოლოგიური მონაცემები C ჰეპატიტის გავრცელების შესახებ მსოფლიოში არასაკმარისია - ზოგიერთ ქვეყანაზე მონაცემები საერთოდ არ მოიპოვება.

## **C ჰეპატიტის გადაცემის გზები**

C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირება უმთავრესად პარენტერალური გზით (სისხლის მეშვეობით) ხდება.

- სისხლის სისხლთან უშუალო შეხებით ან ისეთი მჭრელი ნივთების საშუალებით, რომლებსაც მანამდე ინფიცირებულის სისხლთან ჰქონდა კონტაქტი. ასეთი ნივთი უმეტესად საერთო შპრიცია.
- შესაძლებელია დასნებოვნება პირსინგისა და ტატუირების ინსტრუმენტების, სამართებლის, მანიკიურის იარაღების, კბილის ჯაგრისით.
- სტატისტიკის თანახმად, ყველაზე ხშირად ნარკოტიკების ინტრვენური მომხმარებლები ინფიცირდებიან.
- დასნებოვნების რისკი მაღალია თავისუფლების აღკვეთის ადგილებშიც.
- სამედიცინო მანიპულაციების დროს. რისკი იზრდება სანიტარული ნორმების უხეში დაღვევისას



- სამედიცინო პერსონალი შესაძლოა დაინფიცირდეს სამსახურში (საავადმყოფოში, კლინიკაში) ტრავმირებისას და ინფიცირებულ სისხლთან კონტაქტისას
- არც თუიშვიათად C ჰეპატიტის წყაროს ზუსტი მითითება ჭირს.  
**სქესობრივი გზით გადაცემა**
- გაცილებით იშვიათად ხდება, ვიდრე B ჰეპატიტისან შიდსის შემთხვევაში.
- ვირუსმატარებელთან დაუცველი სქესობრივი კონტაქტის დროს ინფიცირების ალბათობა 3-5%-ს შეადგენს.  
**ვერტიკალური გადაცემა**
- მუცლადყოფნის პერიოდში დედიდან ნაყოფს გადაეცემა 1.7%-ში

**თემა: ცხოვრების ჯანსაღი წესი.**

**სპეციალობა: მოლარე (ბანკის და ა.შ.) III საფეხური.**

**სტუდენტი: ირინე ჭიჭინაძე**

**ხელმძღვანელი: თეა სიმსივე**

ცხოვრების ჯანსაღი წესი - ხშირად გვესმის და ალბათ არაერთხელ დავფიქრებულვართ კიდეც ამ ფორმულირებაზე. მაინც რა არის ეს ჯანსაღი წესი, რას გულისხმობს, რას მოიცავს? თუმცა მთავარი დეტალები ბევრს სათანადოდ არც კი აქვს გაცნობიერებული, მაინც ყველამ იცის, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესი ორგანიზმის ჯანმრთელობის, დღეგრძელობის, სოციალურ ფუნქციათა სრულფასოვნად განხორციელების საწინდარია. სხვა საკითხია, ვინ როგორ მისდევს ამ წესს. ან კი როგორ უნდა მისდიოს ზოგიერთმა, თუ მისი არსიც კი არ აქვს გათავისებული?! ამიტომაც გადავწყვიტეთ, ჩვენი მოხსენება ამ უმნიშვნელოვანესი თემისთვის მიგვეძღვნა, კიდეც ერთხელ განგვემარტა ცხოვრების ჯანსაღი წესის არსი, მისი მთავარი პრინციპები, მათი დანერგვისა და დაცვის აუცილებლობა. ასე რომ, დაიწყეთ ახალი წელი ცხოვრების ახალი, ჯანსაღი წესით!

ცხოვრების ჯანსაღი წესი არის, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების აქტიური, კულტურული წესი, ჰუმანური და ცივილიზებული, რომელიც უშუალო კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობასა და დღეგრძელობასთან, კეთილდღეობასა და ბედნიერებასთან. ეს არის უბ-



რალოდ ცხოვრების პოზიცია, ადამიანის ქცევა და შემოქმედება, მიმართული საკუთარი ჯანმრთელობის განმტკიცებისკენ

ამ თემაზე მომუშავენი ცხოვრების ჯანსაღ წესში უამრავ კომპონენტს მოიაზრებენ, თუმცა რამდენიმე მათგანი მაინც მთავარ, ბაზისურ ნაწილად არის გამოყოფილი; ესენია: გარესამყაროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობაზე მისი ზემოქმედების შესწავლა;

მაგნე ჩვევებზე (თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებაზე) უარის თქმა;

კვება - ზომიერი, ინდივიდუალური, ფიზიოლოგიური თავისებურებების შესაბამისი. აგრეთვე - ინფორმირებულობა გამოყენებული პროდუქტების ხარისხიანობის შესახებ;

მოდრაობა - ფიზიკურად აქტიური ცხოვრება, დღის რეჟიმში სპეციალური ფიზიკური ვარჯიშების ჩართვა ასაკობრივი და ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით;

ჰიგიენა - პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის დაცვა, პირველი დახმარების ძირითადი ჩვევების ცოდნა;

ჩვენ შევეცდებით განვმარტოთ "ცხოვრების ჯანსაღი წესი"მისი მთავარი არსი და მნიშვნელობა და მოგიწოდოთ მისი დაცვისაკენ .

**თემა: კანცეროგენული სამკურნალო მცენარეები**  
**სპეციალობა: ფარმაცევტის თანაშემწე Vსაფეხური**  
**სტუდენტი: მარიამ ტაბიძე**  
**ხელმძღვანელი: მაია სულაბერიძე**

კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე სამკურნალო მცენარეები ყოველთვის იყო ადამიანის გვერდით. ბევრს მიაჩნია, რომ ბუნებრივი საშუალებები ქიმიურ საშუალებებთან შედარებით უსაფრთხოა, მაგრამ ეს ასე არ არის. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი შეიცავენ სასარგებლო ბიოლოგიურად აქტიურ კომპონენტებს, რომლებიც გვეხმარებიან დაავადების გარკვეული პრობლემების დროს, თუმცა ამ აქტიური ნივთიერებების დოზა არ ექვემდებარება სამედიცინო კონტროლს, ხოლო სასიკვდილოდ საშიში გვერდითი ეფექტები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც მჟღავნდება მო-



ცემული ნივთიერებების ხანგრძლივი დროით მიღების შემდეგ, არ შეიძლება ვაკონტროლოთ ლაბორატორიული გამოკვლევების გარეშე. ეს განსაკუთრებით ეხება ტრადიციული ჩინური მედიცინის პრეპარატებს, მცენარეულ ნაკრებებს და ბიოლოგიურად აქტიურ დანამატებს, რომლებიც შეიცავენ ტოქსიურ და ონკოლოგიურ ნივთიერებებს რაც გვიჩვენა დნმ-ის ანალიზმა. აღმოჩნდა, რომ ასეთი პრეპარატები გახდა მიზეზი მსოფლიოში თირკმლის კიბოს განვითარების მაღალი დონის.

ჩინეთის მთავრობა ცდილობს აკონტროლოს მზარდი ალტერნატიული ფარმაცევტული წარმოება, რომლებიც აქტიურად მკვიდრდებიან ევროპისა და ამერიკის ბაზარზე, მაგრამ ჯერ კიდევ ყველა ცდა, კონტროლზე აიყვანონ ფარმაცევტთა ტრადიციული საქმიანობა, რომლებიც გვთავაზობენ დაავადების სამკურნალოდ სხვადასხვა ეგზოტიკური მცენარეების ნაკრებებს და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს, რომელთა სამკურნალო ეფექტი ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული, სტატისტიკურად ვერ ხერხდება.

საშიშ მცენარეთა ჯგუფში გაერთიანებულია კირკაზონთა ოჯახის წარმომადგენელი შხამიანი მცენარეების დიდი ჯგუფი, რომლებიც შეიცავენ არისტოლოხინის მჟავას. ამჟამად არისტოლოხინის მჟავა ოფიციალურად მიკუთვნებულია I ჯგუფის ონკოგენს და მათი გამოყენება წამლებში კატეგორიულად აკრძალულია, მათ შორის 2003 წლიდან ჩინეთშიც.

დასანანია, რომ კანონმდებლობა ნაკლებ ყურადღებას უთმობს ფიტოთერაპიას და კვებით დანამატებს, მცენარეული ნაკრებები კირკაზონით და თვით კირკაზონი შეიძლება შევიძინოთ ინტერნეტით. მით უმეტეს აზიურ ქვეყნებში მოცემული მცენარის ექსტრაქტი არა მარტო არ არის აკრძალული, არამედ ექიმები მათ უწერენ პაციენტებს. მაგალითად, ჩინეთი ყოველწლიურად აწარმოებს კირკაზონის ფუძეზე ათასობით სხვადასხვა მცენარეულ დანამატებს, რომლებიც შედიან წონის დასაკლები, ართრიტის სამკურნალო, თავის ტკივილის, შარდ-სასაქესო სისტემის სამკურნალო მცენარეულ ნაკრებებში, უფრო მეტიც მათ უმატებენ ჩაიში პროფილაქტიკის მიზნით.





**თემა:** კალციუმი და მისი როლი ორგანიზმში  
**სპეციალობა:** ფარმაცევტის თანაშემწე V საფეხური  
**სტუდენტი:** ანა გიგატაძე  
**ხელმძღვანელი:** პროფესორი ცუცა სულაკაძე

ბევრი გაცდება მაგრამ კალციუმი – ლითონია. თან საკმაოდ აქტიური ლითონი, ამიტომ სუფთა სახით ბუნებაში არ გვხვდება. სამაგიეროთ მისი ნაერთები საკმაოდ გავრცელებულია. დედამიწაზე გავრცელების მხრივ მას საპატო მუხუთე ადგილი უკავია, ჟანგბადის, სილიციუმის ალუმინის და რკინის შემდეგ.

არაა გასაკვირი, რომ იგი საკმაოდ მნიშვნელოვან, როლს ასრულებს ცხოველებისა და მცენარეების ნივთიერებათა ცვლის პროცესებში.

კალციუმის აქტიური ცვლა თითქმის ყველა ცხოველისა და მცენარისთვისაა დამახასიათებელი. მისი შენაერთებისაგანაა ზოგიერთი უხერხემლოს ჯავშანი, მოლუსკების ნიჟარები, მარჯნები, ადამიანის და ცხოველების ძვლოვანი ქსოვილი, ცალკეული ბაქტერიების ცისტები და სხვა.

დიდი რაოდენობით კალციუმს შეიცავს მცენარეების თესლები, განსაკუთრებით პარკოსნები, თხილეული, მარცვლეული კულტურები. ცხოველური პროდუქტებიდან კალციუმის შემცველობით ყველაზე მდიდარია რძე და რძის ნაწარმი. რა თქმა უნდა ხორციც.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ადამიანის კვების რაციონი შეიცავს საკმარისზე მეტ კალციუმს. კალციუმის ნაერთები – ეს არა მხოლოდ „საშენი მასალა“ ძვლებისა და კბილებისათვის. კალციუმის იონები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც კუნთოვანი შეკუმშვების ინიციაციაში (მათ შორის გულის კუნთის შეკუმშვები) ასევე ჰორმონების პროდუქციაში. ასევე კალციუმის ბიოორგანული ნაერთები მონაწილეობენ სისხლის შედედებაში და ოსმოსური წნევის შენარჩუნებაში.

კალციუმის შეწოვა ხდება კუჭში D და C ჯგუფის ვიტამინების დახმარებით.

მნიშვნელოვანია კალციუმის, მაგნიუმის და ფოსფორის ცვლის ურთიერთკავშირი – ამ უკანასკნელის დეფიციტისას ზარალდება კალციუმის ცვლაც.



არსებობს ორგანიზმის მდგომარეობა, როდესაც ვითარდება კალციუმის დეფიციტი. ასეთი შეიძლება იყოს მაგ.: ზოგიერთი ენდოკრინული დაავადება, გარკვეული პრეპარატების მიღება, ზოგჯერ მავნე ჩვევების ზემოქმედებაც (მათ შორის ალკოჰოლი და ნიკოტინი).

მიუხედავად ყველაფრისა კალციუმის ალიმენტარული (კვებითი) დეფიციტი ძალზედ იშვიათია.

უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: რაც უფრო მაღალია ორგანოებში და ქსოვილებში ნივთიერებათა ცვლის სიჩქარე, მით უფრო განიცდიან ისინი მაკროელემენტების დეფიციტს და მით უფრო მიდრეკილნი არიან დაავადებებისადმი.

თავის მხრივ ნერწყვის ქიმიურ შემადგენლობაზე დიდ გავლენას ახდენს ჰორმონური ფონი. მაშასადამე, კალციუმის დეფიციტისას პირველ რიგში ზიანდება „სწრაფი“ ცვლის მქონე ქსოვილები და ორგანოები: სისხლი, კუნთები, შიდა სეკრეციის ჯირკვლები, შედეგად ვიღებთ ორგანიზმში კალციუმის დეფიციტის ადრეულ ნიშნებს – სისხლის შედედების დარღვევა, კუნთოვანი სპაზმები, გულის რითმის დარღვევა და ა.შ.

**თემა: ოსტეოპოროზი**

**სპეციალობა: პრაქტიკოსი ექთანი V საფეხური.**

**სტუდენტი: თამარ ჯოხიძე**

**ხელმძღვანელი: ეკატერინე ჯავახია**

- **ოსტეოპოროზი** (ოსტეო - ძვალი და პოროს – ნახვრეტი, ფორი) – ეს არის ჩონჩხის სისტემური დაავადება, რომელიც ხასიათდება ძვლოვანი ქსოვილის მასის შემცირებითა და ძვლის მიკროარქიტექტონიკის (შენების) ცვლილებით. ძვლები ხდება უფრო მყიფე, რაც იწვევს მოტეხილობების რისკის მატებას. მსოფლიოში ეს დაავადება აღენიშნება 750 მლნ ადამიანს, ყოველ მესამე ქალს პოსტმენოპაუზაში და 70 წლის ასაკის მამაკაცებისა და ქალების თითქმის ნახევარს.
- ჯანმო-ს (BO3) მონაცემებით, ოსტეოპოროზს დღეისათვის მეოთხე ადგილი უჭირავს არაინფექციური გენეზის დაავადებებს შორის, გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიის, ონკოლო-



გიური დაავადებებისა და შაქრიანი დიაბეტის შემდეგ.

- ამ დაავადებამ განვითარებულ ქვეყანებში მიიღო "ჩუმი ეპიდემიის" სახე და მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური პრობლემა გახდა.
- კალციუმის ხანგრძლივი ნაკლებობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოსტეოპოროზის განვითარებაში. ალკოჰოლის ჭარბად მიღება, თამბაქოს გამოყენება ასუსტებს ძვლებს. კორტიკოსტეროიდების ხანგრძლივი გამოყენება აზიანებს ძვალს, ასევე კვების დარღვევები. ანორექსიით და ბულემიით დაავადებულ ქალებსა და მამაკაცებს აქვთ ძვლების დასუსტების მაღალი რისკი. ოსტეოპოროზის განვითარების უფრო მეტი შანსი აქვს უმოდრად მყოფ პირებს, ვიდრე აქტიურ, მოძრავ ადამიანებს, აგრეთვე მდედრობითი სქესს. ოსტეოპოროზის დროს მოტეხილობები ქალებში თითქმის ორჯერ მეტია ვიდრე მამაკაცებში. ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ოსტეოპოროზის განვითარების საფრთხე. ასევე მნიშვნელობა აქვს რასას - ოსტეოპოროზი ხშირია თეთრკანიანებში და აზიელებში.
- მოტეხილობები ოსტეოპოროზის ყველაზე ხშირი და სერიოზული გართულებაა.
- ოსტეოპოროზის პროფილაქტიკა გულისხმობს: ბავშვობის ასაკიდან კალციუმისა და D ვიტამინის მოხმარებაზე კონტროლის განხორციელებას.
- ორსულობისა და ძუძუთი კვების პერიოდში ქალის ორგანიზმის უზრუნველყოფას კალციუმით; კორტიკოსტეროიდებით მკურნალობის არსებობის პირობებში კალციუმის პრეპარატებისა და D ვიტამინის დანიშვნას.
- აქტიური ცხოვრების წესი, რეგულარული ფიზიკური ვარჯიში ზომიერი დატვირთვით;
- ამჟამად არსებობს ოსტეოპოროზის ეფექტური მკურნალობის სხვადასხვა ტიპები, რომლებიც ძვლის სიმკვრივეს ზრდიან და მოტეხილობათა პროფილაქტიკას ახდენენ, მაგრამ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მედიკამენტური მკურნალობის დანიშვნა მხოლოდ ექიმს შეუძლია.



თემა: ტუბერკულოზი

სპეციალობა: პრაქტიკოსი ექთანი V საფეხური.

სტუდენტი: მარიამ გოგოლაშვილი

ხელმძღვანელი: ხათუნა სირამე

ტუბერკულოზი ინფექციური დაავადებაა, რომელსაც იწვევს ტუბერკულოზის მიკობაქტერია (კოხის ჩხირი). იგი, ჩვეულებრივ, აზიანებს ფილტვებს (ფილტვის ტუბერკულოზი), თუმცა შეიძლება პათოლოგიური პროცესი ლოკალიზებული იყოს ნებისმიერ სხვა ორგანოში (ფილტვგარეშე ტუბერკულოზი).

**ტუბერკულოზი, გადაცემის გზები, რისკ-ფაქტორები**

ტუბერკულოზი ერთი ადამიანიდან მეორეს ჰაერით გადაეცემა, მაშინ, როდესაც ბაქტერიაგამომყოფი ადამიანი საუბრობს, ახველებს, აცემინებს და შესაბამისად ჰაერში აფრქვევს მიკრობებს. ხუთწუთიანი ლაპარაკისას ან ერთი დახველებისას გამოიყოფა დაახლოებით 3,5 ათასი ბაქტერია. ინფიცირების რისკი განსაკუთრებით მაღალია ბაქტერიების გამომყოფ ადამიანთან ხშირი, რეგულარული კონტაქტის დროს, ცუდად ვენტილირებულ გარემოში.

თუმცა, მიკრობაქტერიების დამარცხება შესაძლებელია:

- მათ ემინიათ მზის სხივების! პირდაპირი მზის სხივების ზემოქმედებით ტუბერკულოზის მიკობაქტერია იღუპება 1,5 საათის განმავლობაში.
- დუღილისას ტუბერკულოზის მიკობაქტერია იღუპება 15 წუთში.
- ულტრაიისფერი დასხივება კლავს მას 2-3 წუთის განმავლობაში.

ტუბერკულოზის განვითარებაში გამოყოფენ 2 სტადიას:

- 1) ინფიცირება – ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერიების არსებობა ორგანიზმში დაავადებისათვის დამახასიათებელი სიმპტომების განვითარების გარეშე;
- 2) დაავადება – ორგანიზმში არსებული ბაქტერიების გამრავლება და ფილტვის ან სხვა ორგანოების დაზიანება, რომელიც მიმდინარეობს ტუბერკულოზისათვის დამახასიათებელი სიმპტომების თანხლებით.

**სიმპტომები, დიაგნოსტიკა, მკურნალობა**

ფილტვის ტუბერკულოზის ყველაზე გავრცელებული სიმპტომია პროდუქტიული ხველა 2 კვირაზე მეტი დროის განმავლობაში, რომელსაც შეიძლება ახლდეს სხვა რესპირატორული სიმპტომებიც:



სისხლიანი ხველა, ქოშინი, ტკივილი გულმკერდის არეში, და/ან ზოგად-კლინიკური სიმპტომები (მაგ. ტემპერატურის მატება, მადის დაქვეითება, წონაში კლება, ღამის ოფლიანობა, ადვილად დაღლა).

ადამიანი ნებისმიერი ორგანოს ტუბერკულოზით შეიძლება დაავადდეს. ყველაზე ხშირად ფილტვის ტუბერკულოზის ფორმა გვხვდება, თუმცა ასევე შეიძლება დაზიანდეს შემდეგი ორგანოთა სისტემები: შარდ-სასქესო; ძვლის და სახსრების; ცენტრალური ნერვული სისტემა; პლევრა; ლიმფური კვანძები; ან ნებისმიერი სხვა ორგანო.

## დიაგნოსტიკა

ტუბერკულოზის დროულ დიაგნოსტიკას მნიშვნელობა აქვს არა მარტო დაავადებულის ადეკვატური მკურნალობის დროულად დაწყების თვალსაზრისით, არამედ საზოგადოებაში ინფექციის გავრცელების პრევენციისთვისაც.

ტუბერკულოზის მიკობაქტერიის აღმოჩენა შესაძლებელია ორი მეთოდით: როდესაც ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის ნახველი დიდი რაოდენობით შეიცავს ტუბერკულოზის მიკობაქტერიებს, მაშინ მათი აღმოჩენა ხდება ნახველის ნაცხის მიკროსკოპიის საშუალებით. ასეთი ავადმყოფები ინფექციის გავრცელების თვალსაზრისით ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენენ. თუ ავადმყოფი უმნიშვნელო რაოდენობით გამოყოფს ტუბ. მიკობაქტერიებს, ხშირად შეუძლებელია მიკროსკოპიით მათი აღმოჩენა. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ნახველის დათესვა სპეციალურ საკვებ ნიადაგებზე. ეს მეთოდი ცნობილია კულტურალური მეთოდის სახელწოდებით. კულტურალური მეთოდის მეშვეობით აგრეთვე შესაძლებელია ტუბერკულოზის მიკრობაქტერიების მგრძობელობის დადგენა სხვადასხვა ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატის მიმართ.

ფილტვის ტუბერკულოზის დიაგნოზის დასადგენად გამოიყენება ასევე გულმკერდის რენტგენოლოგიური გამოკვლევა. რენტგენოლოგიური გამოკვლევა გამოიყენება ფილტვგარეშე ტუბერკულოზზე საეჭვო შემთხვევების დროსაც. ტუბერკულოზის გამომწვევის აღმოჩენის გარეშე მხოლოდ რენტგენოლოგიურად ნანახი პათოლოგიური ცვლილებების არსებობა საბოლოო დიაგნოზის დასმის საშუალებას არ იძლევა.

ინფიცირებული პირების გამოსავლენად გამოიყენება მანტუს



სინჯი. მანტუს სინჯი კეთდება წინამხრის შიგნითა ზედაპირზე. კანში შეჰყავთ ორგანიზმისთვის სრულიად უვნებელი ტუბერკულოზის შემცველი ხსნარი და 48-72 საათის შემდეგ აფასებენ რეაქციის შედეგს. მანტუს სინჯი არის სტანდარტული მეთოდი ტუბერკულოზის მიკობაქტერიებით ინფიცირებულ პირების გამოსავლენად.

### მკურნალობა

1. ინფიცირების იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ბაცილგამომყოფ ავადმყოფთან კონტაქტი, ტარდება პროფილაქტიკური მკურნალობა იზონიაზიდით - დაავადების თავიდან აცილების მიზნით.
2. დაავადების განვითარების შემთხვევაში მკურნალობა ორ ფაზას მოიცავს: ინტენსიურსა და გაგრძელებითს. მკურნალობის ინტენსიური ფაზის (2-3 თვე) დროს პაციენტი ყოველდღიურად იღებს 3-5 პრეპარატის კომბინაციას, გაგრძელების ფაზის დროს კი 2 ან 3 მედიკამენტს კვირაში 2-3 ჯერ 4-5 თვის განმავლობაში. მკურნალობის კურსი საშუალოდ 6-9 თვეს მოიცავს.

**თემა: მოსახლეობის ცხოვრების წესი და მისი როლი  
ჯანმრთელობის შენარჩუნებაში**

**სპეციალობა: პრაქტიკოსი ექთანი V საფეხური.**

**სტუდენტი: მარიეტა მამარდაშვილი**

**ხელმძღვანელი: რუსუდან ხაჭაპურიძე**

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას 40-50%-ში განაპირობებს ცხოვრების წესი, მაშინ როდესაც გარემო ფაქტორებზე მოდის 25-%, გენეტიკურ ფაქტორებზე 18-20%, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის წილი მხოლოდ 12-15 %-ია.

ცხოვრების წესზე ზეგავლენას ახდენს ცხოვრების პირობები: მატერიალური (საყოფაცხოვრებო, კვება, ოჯახის ბიუჯეტი და სხვა) და არამატერიალური ფაქტორები (განათლება, აღზრდა, მორალი და სხვა) ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ადამიანის ქცევაზე და მოღვაწეობაზე.

კვება გარემოს ერთერთი მძლავრი ფაქტორია. არაჯანსაღი კვება კარდიო-ვასკულარული, სიმსივნური და შაქრიანი დიაბეტის გან-



ვითარების წამყვანი რისკ-ფაქტორია. საქართველოს მოსახლეობის კვების დღიურ რაციონში ხორცპროდუქტების ხვედრითი წილი 70 გრამია (ნატოს სტანდარტებით 200გრ.); პურპროდუქტების 700გრ. (ნატოს სტ.200გრ.); რძე და რძის პროდუქტების 215გრ. (615გრ.); ბოსტნეული და ხილი 200 (454);

არასრულფასოვანი კვება იწვევს ავიტამინოზს, ანემიებს, ბავშვის ზრდისა და განვითარების დაქვეითებას და სხვა. საჭიროა კვების რაციონში ბოსტნეულის, ხილის, რძის პროდუქტების ზრდა და პურეულის შემცირება.

თამბაქოს მოხმარებით გამოწვეულ დაავადებებითა და გართულებებით გაცილებით მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ერთად აღებული შიდსის, ავტოკატასტროფების, მკვლევლობების, თვითმკვლელობების, ინფექციური დაავადებების, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შედეგად.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით სადღეისოდ ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 37-40 % თამბაქოს მომხმარებელია. მამაკაცთა შორის მწეველია 50-65%, ხოლო ქალებში 16-22%. გარდაცვლილ ონკოლოგიურ ავადმყოფთა 30% თამბაქოს მოიხმარდა, ფილტვის კიბოთი დაავადებულთა შორის კი მწეველთა ხვედრითი წილი 80 % -ს აღწევს,

ალკოჰოლის ზემოქმედების შედეგად ტვინის შემდგომ, ყველაზე ხშირად ღვიძლი ზიანდება. რაც განაპირობებს არამართო ფსიქიკის დარღვევას და აზროვნების უნარის დაბინდვას, არამედ ორგანიზმის სიცოცხლეს სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს. ალკოჰოლის ჭარბი და ხანგრძლივი მიღება ღვიძლის ალკოჰოლურ დაავადებას იწვევს. ზიანდება გულსისძარღვთა სისტემა, იწვევს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებებს, პერიფერიული სისხლის მიმოქცევის დარღვევას და სხვა.

ალკოჰოლის მცირე დოზით მიღება აუმჯობესებს გულის კუნთის მუშაობას და სტენოკარდიული შეტევების განვითარების ალბათობას 20%-ით ამცირებს, ალკოჰოლის ზომიერი მიღება გულისხმობს კვირაში ერთ კათხა ლუდს, 1-2 ჭიქა წითელ ღვინოს ან სირჩა არაყს.

ნარკოტიკი არის ყველა ის ფსიქოაქტიური მცენარეული თუ სინთეზური პრეპარატი, რომელიც სპეციფიურად მოქმედებს ფსიქიკაზე და იწვევს ფიზიკურ და ფსიქიკურ დამოკიდებულებას.



ნარკოტიკის რეგულარული მიღების შემდეგ ადამიანს უჩნდება დოზის გაზრდის მოთხოვნა. ნარკოტიკი იწვევს ორგანიზმის დამცველობითი ფუნქციის გააქტიურებას, რაც განაპირობებს შეგუების ფაზის დადგომას და საჭირო ხდება დოზის გაზრდა. ნარკოტიკის მოქმედება გამანადგურებლად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ნარკოტიკული სახის ნებისმიერი ნივთიერება მოქმედებს სხეულის უკლებლივ ყველა ორგანოზე და იწვევს მათ დალუპვას.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდების განათლება და სწავლება; ჯანმრთელობა და კეთილდღეობა; სოციალური ჩართულობა ადგილობრივი თემების გაუმჯობესების საქმეში, რათა გავაძლიეროთ ის საზოგადოება რომლის წევრებიც ეს ახალგაზრდები არიან.

**თემა: სხვადასხვა დაავადებები და მისი თავისებურებები ხანდაზმულ ასაკში.**

**სტუდენტი: სალომე შანიძე**

**სპეციალობა: პრაქტიკოსი ექთანი V საფეხური**

**პედაგოგი: რუსუდან ხაჭაპურიძე**

დაბადება-ბავშვობა-სიჭაბუკე-სიმწიფე-სიბერე, ეს ყოველივე ადამიანის გასავლელი გზაა, სიბერე კანონზომიერი პროცესია და განუწყვეტელი ბიოლოგიური ცვლილებების შედეგია. იგი ორგანიზმში უჯრედულ დონეზე იწყება და ფიზიოლოგიურად მოგვიანებით ვლინდება ორგანოთა სისტემების დონეზე. 25 წლისათვის ადამიანის ორგანიზმში სრულდება ორგანოებისა და სისტემების ფორმირება. ბიოლოგიური სიბერის პირველი ნიშნებიც ამ დროიდან იჩენს თავს და 40-45 წლის ასაკში უფრო თვალში საცემი ხდება. ადამიანს ხანშიშესულს უწოდებენ 60 წლის შემდგომ და სამ ჯგუფად ყოფენ:

ხანდაზმული 60-74წ; მოხუცებული 75-89 და დღეგრძელი 90 წლის ზემოთ.

საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არის 67-75წ. ქალებში 75წ, ხოლო მამაკაცებში 67-68წ. სხვაობა ქალსა და მამაკაცს შორის 7-8 წელია.





სიბერისათვის დამახასიათებელია როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ნიშნები.

სიბერის გარეგანი ნიშნები გამოიხატება კანის საფარველზე, კერძოდ მცირდება კანის ელასტიკურობა, ჩნდება ნაოჭები, პიგმენტური ლაქები, პაპილომები და მეჭეჭები.

შინაგანად სიბერის ნიშნები ორგანოთა სისტემებში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს.

გულსისხლძარღვთა სისტემაში სიბერე 40 წლიდან ხდება თვალსაჩინო. სისხლძარღვთა კედლებზე ილუქება ლიპიდები, მცირდება სისხლძარღვთა კედლის ელასტიურობა, რაც ხელს უწყობს მიოკარდიუმის ინფარქტის, ინსულტის, სხვადასხვა ტიპის არითმიების ჩამოყალიბებას.

საყრდენ-მამოძრავებელი სისტემისათვის დამახასიათებელია კუნთოვანი ქსოვილის განლევა, ძვლოვანი ქსოვილის გაფაშრება, ძვალი კარგავს კალციუმს რაც ხშირად მოტეხილობის მიზეზი ხდება.

ასაკის მატებასთან ერთად მხედველობის ხარისხი ქვეითდება, ვითარდება პრესბიოფსია, რომელიც გამოწვეულია ბროლის ასაკობრივი გამკვრივებით. ხშირად მატულობს თვალში გაწნევა, რაც გლავკომის განვითარებას უწყობს ხელს.

ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ ილუქება ნეირონთა 75%, რაც ნერვული იმპულსების მართვის შეფერხებას განაპირობებს, ქვეითდება მეხსიერება, ინტელექტი, აღქმის უნარი, დარღვევები ვითარდება ტვინის ქსოვილში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დემენცია, ხოლო მძიმე შემთხვევებში ალცჰაიმერის დაავადება.

ნაადრევ სიბერეს ხელს უწყობს ცხოვრების წესი, კერძოდ: თამბაქო, ალკოჰოლი, არარეგულარული და არასრულფასოვანი კვება, მედიკამენტების ხშირი მიღება, სტრესი, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა და სხვა.



შთაბეჭდილებების გვერდი